12 F72 ~ 7100

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

# ახალგაზრდა ივერიელი

სამშაბათი, 1 მაისი, 1990 წ.
№ 48 (11534)

ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКАЯ МОЛОДЕЖНАЯ ГАЗЕТА «АХАЛГАЗРДА ИВЕРИЕЛИ»

ფასი 3 კაპ.

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედის“ დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს საქართველოს სსრ საპატიო წოდება **„ქართვლის დედა“**.
2. საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედა“ მიენიჭება დედებს, რომლებსაც ჰყავთ ხუთი და მეტი არასრულწლოვანი შვილი, აქვთ მტკიცე ოჯახი და სამშობლოს უზრდიან მაღალი ზნეობის შრომისმოყვარე შვილებს.
3. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედის“ შესახებ.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე** — **გ. გუმბარიძე**

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი** — **ვ. კვარაცხელია**

თბილისი,
1990 წლის 25 აპრილი.

## დებულება

### საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედის“ შესახებ

1. საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედა“ მიენიჭებათ დედებს, რომლებსაც ჰყავთ ხუთი და მეტი არასრულწლოვანი შვილი და თუ ბოლო შვილს შეუსრულდა ერთი წელი მაინც, აქვთ მტკიცე ოჯახი და სამშობლოს უზრდიან მაღალი ზნეობის, შრომისმოყვარე შვილებს.

საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედის“ მინიჭებისას მხედველობაში მიიღება აგრეთვე მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული შვილი.

2. საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედას“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მიანიჭებს მრავალშვილიან დედებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების შუამდგომლობითა და საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების წარდგენით.

3. საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედის“ მქონე დედა სარგებლობს საცხოვრებელი ბინის, სოფელ ადგილებში საკარმიდამო ნაკვეთის რიგგარეშე მიღების, ასევე სკოლამდელ დაწესებულებაში შვილის სახელმწიფო ხარჯზე შენახვის უფლებით.

4. დედებს, რომელთაც მიენიჭებათ საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედა“, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება უწევს მატერიალურ დახმარებას მის ანგარიშზე რესპუბლიკაში „დედის დღის“, ასევე საქველმოქმედო ღონისძიებათა ჩატარებით გამომუშავებული და შემოსული თანხით.

5. საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედა“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ჩამოერთმევა პირს, თუ მას მსჯავრი დაედო დანაშაულისათვის, ან ჩაიდინა მშობლის, აღმზრდელისა და მეუღლის სახელის გამტეხი ქმედება.

6. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედის“ მქონე დედებისა და სხვა მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების მიზნით გაწეული საქმიანობის შესახებ სისტემატურად აწოდებს ინფორმაციას ფართო საზოგადოებრიობას და აღნიშნული მუშაობის შედეგების შესახებ ყოველწლიურად ახსენებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ინსტრუქცია საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედის“ მისანიჭებლად წარდგენისა და ჯილდოს გადაცემის წესის შესახებ, აგრეთვე დაჯილდოების ფურცლის ნიმუში.**

## ქეთევან არახამიას მორიგი აღზევება

**საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 46-ე ჩემპიონატი. თბილისი, 10-26 აპრილი, 1990 წ. I. ქეთევან არახამია — 11 (+11—2=0) ქულა; II. ნანა იოსელიანი — 10 (+9—2=2), III. ნონა გაფრინდაშვილი — 9,5 (+8—2=3), IV. ქეთევან კახიანი — 9 (+8—3=2), V. ნინო გურიელი — 8 (+6—3=4), VI-VIII. ნანა ალექსანდრია (+5—6=2), ციალა ქასოშვილი (±5—6=2), ქეთევან მელაშვილი (+2—3=8) — 6-6, IX. ლია სადუნიშვილი — 5 (+3—6=4), X-XI. თეა ლანჩავა (+2—5=5), ინგა ხურცილავა (+3 — 7=3) — 4,5-4,5, XII-XIII. თამარ ხუგაშვილი (+2—7=4), სოფიკო ნიკოლაძე (+2—7=4) — 4-4, XIV. ციური კობაიძე — 3,5 (+3—9=1).**



**ᲐᲘ,** ასე დამთავრდა ეროვნული ჩემპიონატი ქართული ჭადრაკის მატიანეში იგი დარჩება როგორც ერთ-ერთი თვალსაჩინო მოვლენა. მართლაც, ბოლო ოცი წლის მანძილზე ასეთი ძლიერი შემადგენლობის საქართველოს ჩემპიონატი არ გამართულა. ჩემპიონის ტიტულს ერთმანეთს ეცილებოდნენ მსოფლიოში აღიარებული დიდოსტატები. მძაფრმა და დრამატულმა ფინიშმა გადაწყვიტა ჩემპიონის ვინაობის საკითხი. ფა-

ამრიგად, 21 წლის ქეთევან არახამიამ დამსახურებულად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული. მან თვალნათლივ დაგვანახა თავისი ძალა და შემართება. ყველა შეხვედრაში მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოდა (არც ერთი პარტია ყაიმით არ დაუმთავრებია) და, მიუხედავად ამისა, ბოლომდე შეინარჩუნა სულიერი სიმხნევე და ნათელი გონება.

შეგახსენებთ ქეთევანის შესანიშნავ სპორტულ სავიზიტო ბარათს. 1982, 1983 წლებში — საქართველოს ჩემპიონი, 1984 წელს — სპორტის ოსტატი, 1985 წელს — მსოფლიო ჩემპიონი 20-წლამდე გოგონათა შორის, 1986 წელს — საერთაშორისო ოსტატი, სსრ კავშირის 46-ე ჩემპიონატის ვერცხლის მედალი, 1987 წელს — საერთაშორისო დიდოსტატი, საზონათშორისო ტურნირის მეორე პრიზიორი, სსრ კავშირის 47-ე ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი, 1988 წელს — პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილე. ამ პერიოდში მოპოვებული აქვს ჯილდოები იუგოსლავიის, საფრანგეთის, ინდოეთის, პოლონეთის და სხვა ქვეყნების საერთაშორისო ტურნირებში.

ალბათ დამეთანხმებით, რომ ნიჭიერი დიდოსტატი მზადაა ახალი მწვერვალების დასაპყრობად. იქნებ ჭადრაკის ქალ-ღმერთმა კაისამ შეახვედროს იგი მატჩში მაია ჩიბურდანიძეს. მაშინ ხომ მსოფლიო პირველობის კიდევ ერთი (უკვე მეხუთე!) ქართული მატჩის მოწმენი ვიქნებით. ოცნებაა? დაველოდოთ საზონათშორისო ტურნირს. იგი უკვე ივნისში დაიწყება.

კვლავ მოგვხიბლა ნანა იოსელიანმა დიდი ძალით და ოპტიმიზმით. მრავალფეროვანი იყო მისი შემოქმედებითი პალიტრა.

სიცოცხლეში ლეგენდადქცეულმა ნონა გაფრინდაშვილმა გაახარა თავისი აურაცხელი ქომაგები ენერგიული და ღრმაშინაარსიანი თამაშით. მასთან შეხვედრა ყველა მოჭადრაკისთვის დიდ ჭადრაკთან ზიარება, იყო. სასიამოვნოა, რომ იგი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას წარმატებით უთავსებს საჭადრაკო მოღვაწეობას.

დიდ ქებას იმსახურებს 18 წლის ქეთევან კახიანი, რომელიც სულ უფრო აღმავლობით თამაშობს. ყველა ხედავს მის ზრდა-წინსვლას. ქეთევანი ბევრს და ხალისით მუშაობს საკუთარი ოსტატობის ამაღლებაზე, რაც კარგი მომავლის საწინდარია.

მთელი არსებით იბრძოდა შეუპოვარი ნინო გურიელი, მაგრამ ყოველთვის არ გაუმართლა. მის პარტიებს გულგრილი არავინ დაუტოვებია.

ჩემპიონატის მოულოდნელობაა ნანა ალექსანდრიას წარუმატებელი თამაში, განსაკუთრებით ფინიშზე, სადაც ზედიზედ სამი პარტია წააგო. მაგრამ ასეც ხდება. როგორც იტყვიან, ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშლებაო. მთავარია ნანამ არ დაკარგოს საკუთარი შესაძლებლობის რწმენა, მით უმეტეს ახლა, როცა კარზეა მომდგარი საზონათშორისო ტურნირი, სადაც მონაწილეობს არახამიასთან, გაფრინდაშვილთან და კახიანთან ერთად.

მართალია, ჩემპიონატის ახალბედა მონაწილეებმა ვერ დაიკავეს საპრესტიჟო ადგილები, მაგრამ თავი პერსპექტიულ მოჭადრაკეებად გაგვაცნეს. ისინი იზრდებოდნენ ტურნირის მსვლელობაში, იძენდნენ ცოდნასა და გამოცდილებას და ფინიშზე ტოლს არავის უდებდნენ. საკმარისია გავიხსენოთ, რომ სოფიკო ნიკოლაძემ და ინგა ხურცილავამ მოუგეს ალექსანდრიას, ხოლო ინგამ იოსელიანს ჩემპიონობა „დააკარგვინა“.

ცხადია, ყველა მონაწილემ ვერ შეძლო თავისი შესაძლებლობების რეალიზაცია, მაგრამ ამის გამო გული არ უნდა გაიტეხონ. ტურნირი უაღრესად მძიმე იყო. მთავარი მაინც ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობა გახლდათ, რადგან აქ იღებს სათავეს ქართული ქალთა საჭადრაკო სკოლის ახალი მიღწევები.

ცალკე საუბრის თემაა ჩემპიონატის შემოქმედებითი შედეგები. იგი უთუოდ მდიდარი და ბევრისმეტყველია, მაგრამ მათ გამომზეურებას დრო სჭირდება. რა თქმა უნდა, პარტიები სპეციალისტებისა და მწვრთნელების მსჯელობის საგანი გახდება. ამ პარტიებში მკაფიოდ გამომჟღავნდება თანამედროვე ქალთა ჭადრაკის განვითარების დონე და პერსპექტივები.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ეროვნული ჩემპიონატი ქართული ჭადრაკის ზეიმი იყო.

**თენგიზ გიორგაძე,**
**საერთაშორისო არბიტრი.**

გუშინ, საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრები გაემგზავრა იუგოსლავიაში, ქალაქ სმედერევსკა-პალანკაში სპორტკლუბ „გოშას“ ვაჟთა ნაკრებთან ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად. ეს ჩვენი მოჭადრაკეების საპასუხო ვიზიტია.

მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ ქალაქ იზმირის (თურქეთი) ვაჟთა დიდ საერთაშორისო ტურნირში 9-დან 6,5 ქულით მესამე ადგილი დაიკავა.

**იური ტერტერიანის ფოტო.**

## ორიოდე სიტყვა პირველ ეროვნულზე

გასრულდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა პირველი ეროვნული ჩემპიონატი. დღეის ამას იქით მას ჭადრაკის ვერცერთი მემატიანე გვერდს ვერ აუვლის.

ბევრი რამით იყო გამორჩეული ეს ტურნირი.

უპირველესად კი იმით, რომ — ქართული ჭადრაკის ისტორიის მანძილზე პირველად ჩატარდა ეროვნული ჩემპიონატი;

პირველად მოიყარა თავი უძლიერესმა შემადგენლობამ;

პირველად დარწმუნდა მთელი საჭადრაკო სამყარო, რომ ჩვენ — ქართველებს შეგვძლებია ასეთი გრანდტურნირის ჩატარება;

იხ. მე-8 გვ.

## დღეს საერთაშორისო სოლიდარობის დღეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ თანატოლთან

# მხოლოდ მამულის სიყვარულით...

**თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტთან მეათე სასწავლო წელია, რაც ფუნქციონირებს ნორჩ ფილოლოგთა სკოლა.**

**დღევანდელი ჩვენი ნომრის სტუმარია ამ სკოლის დირექტორი, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, აკადემიკოს ვარლამ თოფურიას სახელობის სტიპენდიატი გაგა შურღაია.**

**— გაგა, მესამე სასწავლო წელია, რაც თქვენ ნორჩ ფილოლოგთა სკოლას ხელმძღვანელობთ. როგორია სკოლის მიზნები და ამოცანები?**

— თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, როდესაც ტექნიკა ფართოდ შემოიჭრა ადამიანის სულიერ სამყაროში, თვალნათლივ გამოიკვეთა ჰუმანიტარული დისციპლინების მნიშვნელობა. XX საუკუნის თვისებრივად სრულიად ახალი ლიტერატურაც ხომ უწინარესად ადამიანის სულის ამ გაუცხოებას იკვლევს. სავსებით ლოგიკურია, რომ ტექნიზაციის არტახებით შებოჭილმა ადამიანის სულმა ისევ მიაშურა ძველ, ნაცად ჰუმანიტარულ დისციპლინებსა და ხელოვნებას. და თუკი ადრე ხელოვნების არსში წვდომა მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო, დღეს იგი ცხოვრებისეულ აუცილებლობად იქცა თითოეული ადამიანისათვის.

ჩვენი სკოლის მიზანიც ეს არის: გავუღვივოთ ბავშვებს სიყვარული არა მარტო მშობლიური ენის და ლიტერატურის, არამედ, საერთოდ, ლიტერატურის, ისტორიის, ფილოსოფიისა და სხვა ჰუმანიტარული დისციპლინების მიმართ. ვცდილობთ, გავაგებინოთ მოსწავლეებს, თუ რატომაა აუცილებელი მათი ცოდნა და ვუჩვენოთ გზები ამ ცოდნის მისაღებად.

**— როგორ წარმოიშვა სკოლის დაარსების იდეა და თავდაპირველად როგორი იყო მისი მიზნები?**

— ჩვენი სკოლა, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს, 1980 წელს დაარსდა ფაკულტეტის დეკანის მოადგილის დოცენტ რუბენ ენუქაშვილის ინიციატივით, რომელსაც მხარი დაუჭირა მაშინდელმა ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ. სკოლა თავდაპირველად მიზნად ისახავდა ფილოლოგიის ფაკულტეტისათვის ყველაზე სასურველი კონტინგენტის შერჩევას. ამავე დროს, სტუდენტი-მასწავლებლებისთვისაც იგი უნდა გამხდარიყო თვითსრულყოფის საშუალება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებისათვის კი ხელმისაწვდომი გაეხადა უახლესი ფილოლოგიური ინფორმაცია, რომლის ნაკლებობა მწვავედ იგრძნობა ჩვენს სკოლებში.

ცხადია, ეს მიზნები ახლაც რჩება სკოლის უმნიშვნელოვანეს ამოცანად, მაგრამ იგი სულაც არ გვიშლის ხელს ვეძიოთ თითოეულ მოზარდში ახლებური ჰუმანიტარული აზროვნების გამომუშავების სხვა მიმართულებებიც.

**— როგორ კომპლექტდება სკოლა და რა სიახლეებით გამოირჩევა წლევანდელი სასწავლო წელი?**

— ნორჩ ფილოლოგთა სკოლაში მიიღებიან დედაქალაქის საშუალო სკოლის V-XI კლასის მოსწავლეები. შარშან და შარშანწინ მსურველებს უგამოცდოდ ვიღებდით, წლეულს კი მისაღები წერითი გამოცდა ჩავატარეთ მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში. სკოლაში სწავლის მსურველებს, რომელთა რიცხვი 150-ს აღემატებოდა, შევთავაზეთ ორ-ორი პროგრამული და თითო-თითო თავისუფალი თემა. ამასთან, სავალდებულო საკითხი იყო წინადადების სინტაქსური და მორფოლოგიური გარჩევა. გამოცდის მიზანი იყო, გამოგვევლინა მოსწავლეთა ცოდნის დონე და შესაძლებლობანი. ჩაირიცხა ყველა, ვინც დადებითი შეფასება დაიმსახურა.

რასაკვირველია, ჩვენი სკოლის თითოეული მოსწავლე მომავალში ფილოლოგი ვერ გახდება, მაგრამ, ვფიქრობთ, მოკრძალებულ წვლილს შევიტანთ იმაში, რომ ჩვენს ერს განათლებულ, პატრიოტ, ხოლო ლიტერატურას — დახვეწილი მხატვრული გემოვნების მქონე მკითხველებს აღვუზრდით.

**— რას გვეტყვით თქვენი სკოლის პედაგოგიურ კოლექტივზე?**

— მეცადინეობას მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში III-V კურსის სტუდენტები ატარებენ. უკვე მესამე წელია, გატაცებით მუშაობს ბავშვებთან მეხუთეკურსელი ირინე იაშვილი, რომელმაც თავისი არასტანდარტული გაკვეთილებით ბევრი პედაგოგის ყურადღება მიიპყრო. სკოლის მოსწავლეთა საერთო სიყვარულით სარგებლობენ ნინო მდივაძე, ნინო ხახიაშვილი, ნინო ძიძიგური, ეკა ქრისტესაშვილი და ზურაბ გალდავა, რომლებიც მეორე წელია, რაც გაკვეთილებს ატარებენ. წლეულს ჩვენი სტუდენტ-მასწავლებელთა კოლექტივი შეავსეს ლეილა მელიქიშვილმა, თეა კალანდიამ, ილია თავბერიძემ და სხვებმა.

სკოლა მომავალი თაობის მომავალ აღმზრდელებს შესანიშნავ საშუალებას გვიქმნის, გავიცნოთ ბავშვის სამყარო, გავითავისოთ იგი, ჩავწვდეთ მათ ინტერესებს, ვისწავლოთ მათი მიდრეკილების მართვა. გარდა ამისა, ჩვენ ვეუფლებით კოლეგიალური ურთიერთობის ხელოვნებასაც.

ნორჩ ფილოლოგთა სკოლას კურირებს ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ბექან კილანავა. მეცადინეობებზე ვიწვევთ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს. განა ცოტას ნიშნავს ის ფაქტი, რომ საშუალო სკოლის მოსწავლე უნივერსიტეტის კედლებში ისმენს უნივერსიტეტის პროფესორების ლევან მენაბდის, ჯუმბერ ჭუმბურიძის, ზურაბ კიკნაძის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ ბესიკ ჯორბენაძის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს... ლიტერატურათმცოდნეების, ენათმეცნიერთა გარდა მომავალში სკოლაში მოვიწვევთ ხელოვნებათმცოდნეებსა და ისტორიკოსებს...

**— თუ შეიძლება, გვითხარით, რა გაჩვენათ მოსწავლეებთან მუშაობამ თქვენ — როგორც მომავალ მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს?**

— რა დასამალია და, ხშირად მოსწავლეები სიყვარულით ეკიდებიან პროგრამულ თუ სკოლისგარეშე ლიტერატურის კითხვას. ეს გასაგებიცაა, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდ ინტერესს არ იჩენენ ენისადმი. ეს, საერთოდ, ჩვენი ფილოლოგიური განათლების სუსტი მხარეა. შეძლებისდაგვარად ვცდილობთ ამ ხარვეზის შევსებას — მოსწავლეებს დავანახოთ ერის სულიერ სამყაროსთან მშობლიური ენის ორგანული კავშირი. ალბათ, გახსოვთ დიდი გერმანელი ენათმეცნიერისა და ფილოსოფოსის ვილჰელმ ჰუმბოლდტის უკვდავი სიტყვები: „ენა არის ერის სული და ერის სული არის მისი ენა“. როდესაც მოსწავლეები გაიცნობიერებენ, რომ ენა მხოლოდ ადამიანთა შორის კომუნიკაციის საშუალება კი არა, არამედ სამყაროს აღქმის წესია, მაშინ, ბუნებრივია, ენა მხოლოდ რაღაც განყენებული გრამატიკული წესების კონგლომერატი აღარ იქნება მათთვის და ენობრივი სისტემის შესწავლასაც ყურადღებითა და ინტერესით მოეკიდებიან.

**— რამდენად განსხვავდება სასწავლო პროგრამა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამისგან?**

— ჩვენი პროგრამა ზოგადად მიჰყვება სკოლისას, თუმცა საკითხთა უფრო ფართო წრეს მოიცავს. მოსწავლეებს კვირაში ორჯერ ვხვდებით. ერთი დღე ენას ეთმობა, მეორე — ლიტერატურას. ამ მცირე დროში ვცდილობთ ნებისმიერ საკითხზე მივაწოდოთ მათ მეცნიერებაში არსებული ძირითადი განსხვავებული შეხედულებანი, განვუმარტოთ ისინი, რათა მოსწავლეებს მიეცეთ ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი აზრის შემუშავებისა და მისი დაცვის საშუალება. ჩვენი მიზანია, გამოვუმუშაოთ მოსწავლეებს ნებისმიერ მოვლენაზე ინდივიდუალური დაკვირვების უნარი, დავანახოთ მათ, რომ თვით ყველაზე უნივერსალური კანონებიც კი ხშირად არ არიან უნივერსალურნი. ალბათ გახსოვთ, ა. ტარკოვსკის შესანიშნავ ფილმში „ნოსტალგია“ ზოგიერთ შემთხვევაში არ მართლდება უნივერსალური მათემატიკური ფორმულა „1+1=2“. ასევე, ჰუმანიტარულ დისციპლინებშიც ძალზე იშვიათად თუ არის ესა თუ ის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი. ენის მეცადინეობებზე აქცენტი გადაგვაქვს სასკოლო ელემენტარული გრამატიკის გათავისებაზე, თუმცა, მოსწავლეები თავადაც რწმუნდებიან, რომ ამ გრამატიკაში ზოგიერთი საკითხი პრინციპულად ახლებურ გადაწყვეტას მოითხოვს...

**— როგორი ურთიერთობა გაქვთ მოსწავლეებთან, თქვენ შორის ასაკში ხომ არც თუ ისე დიდი სხვაობაა და ეს ხომ არ გიშლით ხელს სწავლებასა და აღზრდის პროცესში?**

— პირიქით. ჩვენც ხომ თითქმის გუშინ ვუსხედით სკოლის მერხებს. ამიტომ უფრო ახლობელი, გასაგებია მათი სურვილები, ინტერესები. ჩვენი ურთიერთობა ძალზე უბრალო, უშუალო, თანასწორუფლებიანია. ვცდილობთ, ყოველი შეხვედრა ორივე მხარისათვის იყოს სასარგებლო. ერთად ვეძიებთ და ვსწავლობთ. მთელი პედაგოგიური კოლექტივის მიზანია ბავშვებს მამულისა და მშობლიური ენის სიყვარულთან ერთად, ვასწავლოთ სიმართლის სიყვარული... მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც ერთსულოვანი ვართ იმაში, რომ ყოველთვის, ყველა ვითარებაში, ვინც არ უნდა ვიყოთ მომავალში, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა ვიყოთ მართალი, სიმართლით ვემსახურებოდეთ ჩვენს საქმეს.

ამასთან დაკავშირებით ამასწინანდელ ერთ, ჩემთვის მეტად უსიამოვნო, ეპიზოდს გავიხსენებ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომის შესახებ ინფორმაცია დაიბეჭდა გაზეთ „თბილისის“ 1989 წლის 17 ნოემბრის ნომერში. პუბლიკაციის ავტორებმა ზოგიერთ გამომსვლელს ისეთი აზრი მოგვაწერეს, რაც ფიქრადაც არ გაგვივლია. ამან ჩვენი გულისტკივილი და გულისწყრომა გამოიწვია. არა და, იგივე საბჭოს სხდომას მიეძღვნა ერთ-ერთი სიუჟეტი, რომელიც ეთერში გადაიცა საქართველოს ტელევიზიით. ამ გადაცემის შემდეგ ჩემი მეათეკლასელები მეკითხებოდნენ, თუ რატომ იყო განსხვავებული საგაზეთო და სატელევიზიო ინფორმაცია.

**— როგორც მომავალი თაობის მომავალ აღმზრდელს, რა გაწუხებთ და როგორ გესახებათ მომავლის გზები?**

— ჩვენი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სატკივარი ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ, კულტურულ სატკივართა ჯაჭვში მხოლოდ ერთ-ერთი რგოლია... სამწუხაროდ, წლების მანძილზე უმაღლეს სასწავლებელს ამთავრებს არაერთი არაკვალიფიციური სპეციალისტი. შემდეგ იგი ხდება ზოგადსაგანმანათლებლო და ხშირად, უმაღლესი სკოლის პედაგოგი და აქედან იწყება გრძელი ჯაჭვი: სკოლა-უმაღლესი სასწავლებელი-წარმოება. ვიღას დავუმალოთ და... პროფესიონალიზმისადმი უსულგულო, უფერული დამოკიდებულება სოციალურად მისმა დაუფასებლობამ გამოიწვია. ეს პრობლემა კი არ მოიხსნება, ვიდრე პროფესიონალ სპეციალისტს სოციალური დაფასება არ ექნება.

დღეს, ეროვნული მოძრაობის არნახული აღმავლობის ვითარებაში საგანგებო გულისხმიერებით უნდა მოვეკიდოთ კვალიფიციური სპეციალისტების აღზრდას. ნანატრი თავისუფალი სამშობლოს ძლიერების საფუძველს უნდა ქმნიდეს მძლავრი ეკონომიკური და კულტურული სუვერენიტეტი. განათლებული, ერუდირებული, მაღალკვალიფიციური და, რაც ყველაზე მთავარია, მაღალზნეობრივი სპეციალისტები სჭირდება ერთიან, განუყოფელ და თავისუფალ საქართველოს. ამიტომ, ვფიქრობ, ვერანაირად ვერ გამართლდება სასწავლო პროცესის შეფერხება, როგორი მიზნითაც არ უნდა იყოს ის ნაკარნახევი.

კარგად მესმის: ძალზე ძნელია, როდესაც გარეთ არნახული მოვლენები ვითარდება, შენ მუდამ მის შუაგულში არ ტრიალებდე, ლექცია-გაკვეთილებზე იჯდე, შინ ჩაკეტო წიგნებთან, ანდა ბიბლიოთეკაში უკირკიტო სტრიქონებს... მართლაც, რა გული გაუძლებს!.. მაგრამ ესეც ხომ ფაქტია: ყველგან ფრონტია დღეს, ყველას თავისი წილი ლელო აქვს გასატანი. ცხოვრების ყველა სფეროში მოპოვებული გამარჯვებით უნდა დადგეს მკვიდრად სამშობლო ფეხზე და ამ გამარჯვებებით იცოცხლოს და იმარადისოს. მიმაჩნია: მთავარია, ჩვენი საერთო დიდი საქმისათვის ყველამ აკეთოს ის, რითაც ყველაზე მეტად არგებს მამულს, თავისი უნარისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ილვაწოს იქ, სადაც ყველაზე მეტ სარგებლობას მოუტანს ქვეყანას.

იმ დიდი ტაძრისაკენ, თავისუფალი საქართველო რომ ჰქვია, ყველას თავისი გზა აქვს გასავლელი. სხვის გზას სხვის მაგივრად ვერავინ გაივლის...

**ესაუბრა ლელა კუნჭულია, თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი.**

# ქრონიკა, ინფორმაცია

## შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**27 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე შეხვდა რესპუბლიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივანთა ჯგუფს. საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის სამზადისის გადამწყვეტ ეტაპზე გულახდილი, დაინტერესებული სჯა-ბაასი გაიმართა საზოგადოების რადიკალური განახლების, რესპუბლიკის რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მიღწევის პროცესებში კომუნისტური პარტიის ადგილის შესახებ.**

●

## საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

27 აპრილს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ნოდარ ჭითანავამ** მიიღო ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში **ალფრედ გონსალესი**, რომელიც ვიზიტად არის ჩვენს რესპუბლიკაში,

დარბაზობას დაესწრო საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი **გიორგი ჯავახიშვილი.**

●

## რეგიონის დღე ჟურნალისტის სახლში

**კახეთის ზონის რაიონული გაზეთების მუშაკებთან გამართულმა დიალოგმა, რომელიც თბილისის ჟურნალისტთა სახლში მოაწყო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა, დასაბამი მისცა ახალ ტრადიციას — რეგიონების ყოველთვიურ დღეს.**

**— დღეს რაიონული პრესა ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდა, — თქვა გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორმა ვლადიმერ გოგოლაშვილმა, მან საყვედურობენ, რომ ჩამორჩება ცხოვრებას, ვერ აკმაყოფილებს სადღეისო მოთხოვნებს. ვითარებას ართულებს პროფესიული კადრების უკმარისობა, რაიონული გაზეთების სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.**

**გაზეთ „ნერგის“ რედაქტორის მოადგილემ ნათელა ფაილოძემ მიმოიხილა ადგილობრივი პრესა, რომლის წარმომადგენლები მიწვეული იყვნენ შეხვედრაზე. გაზეთების მასალები ხშირად სცოდავენ ციფრების ცნობების სიუხვით, რომელთა მიღმაც ძნელია დავინახოთ ადამიანი, მისი ცხოვრება, საზრუნავი.**

**ეკონომისტებმა რომან გოცირიძემ და ემილ ჯულელმა დაწვრილებით გასცეს პასუხი დამსწრეთათვის საინტერესო შეკითხვებს, გაუზიარეს მათ თავიანთი შეხედულებები ქვეყანასა და რესპუბლიკაში შექმნილ ეკონომიკურ სიტუაციაზე, კრიზისიდან გამოსვლის გზებზე.**

**საქართველოს დამოუკიდებელი ჟურნალისტთა კავშირის სტატუსის შესახებ დამსწრეთ ესაუბრა კავშირის გამგეობის მდივანი აკაკი სიხარულიძე.**

**საქინფორმი**

●

## ახალსახლობა ხაშურში

ხაშურში 80-მა ოჯახმა ახალი ბინა მიიღო. ეროვნული დღესასწაულის — 26 მაისისათვის კიდევ 20 ოჯახი იზეიმებს ახალსახლობას. წლის ბოლოსათვის ახალი საცხოვრებელი ბინით 280 ოჯახი დაკმაყოფილდება.

— დემოგრაფიულ პრობლემას მოწოდებებით და ლოზუნგებით ვერ გადავწყვეტთ. საბინაო აღრიცხვაზე მყოფ 1300 ოჯახსაც ვერ დააკმაყოფილებ ლიტონი დაპირებებით. ნომერ პირველ ამოცანად დავისახეთ ბინათმშენებლობის ტემპების დაჩქარება, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის გაზრდა, — გვითხრა პარტიის ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა როლანდ მულაძემ. — მშენებლობის პროცესშია საფეიქრო-სუგალანტერიო ფაბრიკის 75-ბინიანი, ამდენივე მექანიკური ქარხნის, შუშის ქარხნის 60, რკინიგზელთა 54 და 50, მედიცინის მუშაკთა 30, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 30-ბინიანი საცხოვრებელი სახლები. ვითვალისწინებთ ყველა სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის გამოყოფას ინდივიდუალური მშენებლობისათვის. ქალაქის ფარგლებშიც ასამდე ოჯახს გამოეყოფა სამოსახლო ადგილი. ასეთი ღონისძიებები საშუალებას გვაძლევს 1990-1991 წლებში რვაასზე მეტი ოჯახი დავაკმაყოფილოთ საცხოვრებელი ბინით, ხოლო 1993 წლის მიწურულისათვის საბინაო აღრიცხვაზე მყოფთა რიგი აღარ უნდა გვქონდეს.

ვეშვიდობებით ახალი საცხოვრებელი სახლების მობინადრეებს, ბედნიერ ადამიანებს. წარმატებას, ჯანმრთელობას ვუსურვებთ მშენებლებს, რომლებიც სასაუბროდაც ვერ იცლიან. ადამიანებს სიკეთის რწმენა უბრუნდებათ....

**რობერტ ცუცქირიძე,**
**საქინფორმის კორ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენი ქვეყანა ახლა ავადაა, — ბრძანა ჩვენთან საუბარში ბატონმა ირაკლი ფალავამ. — ჩვენი თაობა ჩერნობილის ტრაგედიის შორეული შედეგების გაანალიზებას ვერ შესძლებს, ვერ შევძლებთ წინასწარ დავასკვნათ რა გენეტიკურ ზემოქმედებას მოახდენს ეს შემდგომ თაობაზე, მაგრამ ჩვენი ვალია დღეს არსებული ყველა შესაძლებლობა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ გარკვეულ შედავათებს მივაღწიოთ და მაქსიმალურად დავიცვათ ხალხის ჯანმრთელობა.

რა დგას ამ განცხადების უკან და რის გაკეთებას ახერხებს საამისოდ რესპუბლიკის სანპიგიენური სამსახური? ამ საკითხებზე გვესაუბრება სწორედ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე, რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმი, ბატონი ირაკლი ფალავა.



# ხსნა მხოლოდ სუფთა გარემოშია

— ბატონო ირაკლი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჯანმრთელობის სამინისტროსთან შექმნილია და მუშაობს საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული მდგომარეობის შემსწავლელი და რადიაციული დაბინძურების თავიდან აცილების საუწყებათაშორისო კომისია. თუ შეიძლება გვიამბეთ ამ კომისიის მუშაობის შესახებ.

**— დავიწყოთ იმით, რომ 1986 წლამდე ჩვენს რესპუბლიკაში საერთოდ არ არსებობდა არანაირი სამსახური, რომელიც კონტროლს გაუწევდა კვების პროდუქტებში რადიონუკლიდების (რადიოაქტიური ნივთიერებების) შემცველობას. და, ბუნებრივია, არც არანაირი ნორმები არ არსებობდა, რომელიც ამ შემცველობის ზღვარს დაადგენდა. ჩერნობილის ავარიის შემდეგ ეს აუცილებელი გახდა და აი, ამის შემდგომ საკავშირო ჯანმრთელობის სამინისტრომ მიიღო და დაამტკიცა დროებითი ნორმები, რომელიც მას მერე ოთხჯერ შეიცვალა. უკანასკნელად დადგენილი ნორმების ვადა 1 აპრილამდე იყო განსაზღვრული. მაგრამ სსრკ ჯანმრთელობის სამინისტრომ ეს ვადა კიდევ სამი თვით გააგრძელა. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ გამოვიყენებინა რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმის უფლება — დაამტკიცოს რესპუბლიკისთვის საკავშირო ნორმატივებისაგან განსხვავებული ნორმები — და ამჟამად არსებული საკავშირო ნორმები შევადარეთ ჩვენს ხელთ არსებულ საერთაშორისო ნორმებს. დიდი სამუშაოების ჩატარების შემდეგ მივაღწიეთ იმას, რომ ჩვენმა სამინისტრომ თავისი არსებობის მანძილზე პირველად შეიტანა ცვლილებები ცენტრის მიერ დაშვებულ ნორმებში და შეადგინა საკუთარი ნუსხა. ვიცით, კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეში ეს გარკვეულ სიძნელეებს შეგვიქმნის, შევხვდებით დიდ წინააღმდეგობებსაც, მაგრამ ჩვენ ხალხს ჩვენ თავად უნდა მივხედოთ, რასაკვირველია, ამით არც არავის ვუპირისპირდებით და არც არავის ვუცხადებთ ომს. ამაში ჩვენ ჩვენი საზოგადოების მხარდაჭერის იმედი გვაქვს, ჩვენი ხალხის სინდის-ნამუსის იმედი. რატომ ვამბობ ამას? იმიტომ, რომ რადიაქტიული ნივთიერებებით დაბინძურებულია არა მარტო უკრაინა და ბელორუსია, არამედ რსფსრ მთელი რიგი ოლქები, საიდანაც ჩვენ პროდუქცია შემოგვაქვს. კი გავამკაცრეთ დასაშვები ნორმები, მაგრამ რა ვუყოთ კონტროლს? აქ მთავარი კონტროლი თითოეული კაცის ნამუსი უნდა აღმოჩნდეს, იმათი, ვისაც რაიმე შეხების წერტილები აქვს რესპუბლიკის მოსახლეობის კვების პროდუქტებით მომარაგებასთან, იქნებიან ისინი სახელმწიფო სამსახურების, სამინისტროებისა და უწყებების თუ კოოპერატივების წარმომადგენლები. თითოეულმა შემომტანმა საქმის კურსში უნდა ჩააყენოს ჩვენი სამსახური, რათა დახლებ-** [illegible]

**ვეულ რისკთანაცაა დაკავშირებული ისევ და ისევ, მავანთა და მავანთა ქვენა გრძნობების გამო შეიბლალოს, ჩაკვდეს, ანდა სულაც სახელი გაუტყდეს. თუ არ მოხდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კონსოლიდაცია, ვერაფერს მივაღწევთ.**

— ბატონო ირაკლი, საიდან ამოდიხართ როცა ამ ნორმებს ადგენთ, რა ითვლება აქ ათვლის წერტილად?

**— ორიენტირი ჩვენთვის ბუნებრივი ფონია, რომელიც საქართველოში არსებობს. ვისწრაფვით, ამ ფონს დავუახლოვოთ რადიონუკლიდების შემცველობა კვების პროდუქტებში. ფონის შესწავლა და შედეგების პრაქტიკასთან დაკავშირება დავიწყეთ მხოლოდ ჩერნობილის შემდეგ. ვიკვლევთ მას ნიადაგში, ჰაერში, სასმელ წყალში წყალსატევებში და ყველგან, სადაც ხელი მიგვიწვდება და რაც უპირველესად გავლენას ახდენს კვების პროდუქტებზე. ამაზე მუშაობს ზემოხსენებული კომისია, რომლის შემადგენლობაშიც არიან სხვადასხვა დარგში მოღვაწე ქართველი მეცნიერები, ექიმები, უწყებებისა და სამინისტროების წარმომადგენლები, ყველა ის, ვისაც ამ საქმესთან რაიმე კავშირი აქვს და რაიმე დაეჯერება. ჩვენ კომისიაში სამუშაოდ ვიწვევთ საზოგადოებრივი, ფორმალური თუ არაფორმალური გაერთიანებების წარმომადგენლებსაც. აქედან გამომდინარე, დაასკვნით, რომ გადაწყვეტილებების მიღება ერთპიროვნულად არ ხდება და ვერც მოხდება. მიუხედავად იმისა, რომ კვების პროდუქტების 80-90 პროცენტი უკრაინიდან და ბელორუსიიდან შემოგვაქვს, ჩვენ ვეტევით საერთაშორისო ნორმებში, ყველა სახეობის მიხედვით, ხორცის გარდა.**

— აბა, რა გვეშველება? უხორცოდ ხომ ვერ დავრჩებით?

**— ამის გამო ჩვენ ვესაუბრეთ ექიმებს და დავასკვენით, სჯობს რესპუბლიკა უხორცოდ დარჩეს, ვიდრე დაბინძურებული მიიღოს, რადგან ხორცში შემავალი ცილების დანაკლისი ნაკლებ ზიანს მოუტანს ხალხს, ვიდრე რადიაციამიღებული პროდუქტის მიღება. ეს, ბუნებრივია, პრობლემებს უქმნის რესპუბლიკაში კვების პროდუქტების შემომტან ორგანიზაციებს. მაგრამ როცა კრიტიკულად დაისმის საკითხი, სხვა გზებიც მოიძებნება.**

— მართალი ბრძანდებით, მე აღარ მინდა დავაკონკრეტო, მაგრამ რესპუბლიკაში მსხვილ სამრეწველო საწარმოებს მოეძებნებათ ალბათ ვალუტა, რომელზეც შეიძლება შემოვიტანოთ არა უცხოური ავტომანქანები, არა ტყავის „კურტკები", არა ძვირადღირებული მაგნიტოფონები, არამედ პირველ რიგში სუფთა პროდუქტი. როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო, ნათქვამია. ახლა გამოჩნდება, ვინ ფიქრობს საქართველოზე, ხალხზე და ვინ საკუთარ ჯიბეზე. გუშინ მეცნიერებათა აკადემიაში გახლდით ერთ შეკრებაზე და იქ ბრძანეს, რსფსრ-ს, რომელიღაც ობიექტი ხე ტყეს აღარ გვიგზავნის, გვეუბნება ბატონო, ჩვენ ხალხს შია და უცხოეთთან უფრო სარფიანი ურთიერთობები გვაქვსო. რა ვიცი, ჩვენ რაღა გვეშველება? ალბათ ჩვენთანაც დაიძებნება რაიმე გზები. მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით გასაჭირი თუ მარტო ხორცზეა, მაგრამ, ბატონო ირაკლი, ხალხის გარკვეულ ნაწილს არ სჯერა იმ [illegible]

**— 1986 წელს საქართველო ერთადერთი რესპუბლიკა იყო, რომელმაც რადიაქტიურად დაბინძურებული ხორცი არ გამოიყენა. თუმცა წარამარა გვერეკავდნენ და გვამოწმებდნენ „ცენტრიდან", მაგრამ ყოველთვის ვპასუხობდით, რომ ეს ხორცი წარმოებაში იყო ჩაშვებული და აი, იმ ხორციდან გრამი აღარ არის დარჩენილი, ყველა უკან გავაგზავნეთ, საიდანაც მივიღეთ. ის მაცივრები კი, სადაც ამ ხორცს ვინახავდით, მთლად დაიწმინდება და სპეციალური დამუშავების შემდეგ ის საშიშროებას აღარ წარმოადგენს, მაგრამ რას იზამ, ნდობის დაკარგვა ადვილია, მისი აღდგენაა ძნელი. არ მიკვირს ხალხის უნდობლობა. მაგრამ, დამერწმუნეთ, ახლა მათ შეშფოთებას არანაირი საბაბი არა აქვს.**

— თუ შეიძლება რამდენიმე მაგალითი შედარებისთვის დადგენილი ნორმებიდან?

**— სიამოვნებით. ჩვენ რესპუბლიკისთვის დასაშვები რადიონუკლიდების შემცველობის დასაშვები დონე 1 ივლისამდე განვსაზღვრეთ. თუ საკავშირო დონე 1 კილოგრამ საქონლის ხორცში 2960 ბეკერელია, ჩვენ 800 ბეკერელს ვუშვებთ. შესაბამისად: კარტოფილი 840:370, რძის ფხვნილი — 1850:370; კარაქი და შესქელებული რძე — 1110:600 და ასე შემდეგ. ყველა პროდუქტზე ჩვენი მოთხოვნები საგრძნობლად გამკაცრებულია.**

— რატომ არის რომ საბჭოთა კავშირში ასე მაღალი დოზებია?

**— კითხვაზე კითხვით გიპასუხებთ: რატომ არის, რომ 9 აპრილს მოცეკვავე ხალხს ჯარი დაასიეს, რატომ არის, რომ ნოვოჩერკასკში ტყვიით დაცხრილეს ხალხი, რომლებიც მოითხოვდნენ — მოგვეცით პური: რატომ არის, რომ „საბჭოთა ჯანდაცვა ყველაზე ჯანმრთელი ჯანდაცვაა მთელს მსოფლიოში", რატომ ბოგინობს ჯერ ისევ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდი?**

— და კიდევ ერთი კითხვა. სწორედ გუშინ შევიტყვე, რომ შემოზიდული ნედლეულის ნაწილი, რომელზედაც წამლებს ვამზადებთ საქართველოში, დასაშვებ დონეზე მეტადაა რადიაქტიული ნივთიერებებით დაბინძურებული. რამდენად მართალია და რა პრობლემების წინაშე აყენებს ეს შესაბამის სამსახურებს?

**— ამ რამდენიმე დღის წინ რადიაციული მდგომარეობის შემსწავლელი და რადიაციული დაბინძურების თავიდან აცილების საუწყებათაშორისო კომისიისა და თბილისის ჰიგიენისტთა საზოგადოების გაერთიანებულ სხდომაზე ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ეთერ ქემერტელიძემ გვაუწყა, რომ მათ მიერ შემუშავებული ახალი პრეპარატის „რამნინის" დასამზადებლად კრუშინი მიღებულია ჟიტომირიდან, რომელიც გასინჯვის შემდეგ დასაშვებ დოზაზე მეტად აღმოჩნდა დაბინძურებული. მომწოდებელმა ამაზე უპასუხა, რომ ეს არის საკავშირო დასაშვები ნორმაო. პრეპარატი ძირითადად რუსეთში მიდის, მაგრამ რადგან საქართველოსთვის, ამჟამად თქვენს მიერ დადგენილი ნორმების მიხედვით ეს ზღვრულზე მაღალია, ამ პრეპარატის არც ერთი გრამი საქართველოში არ გაიყიდება. ამაზე ჩვენ კონტროლს დავაწესებთ, რადგან წამალში რადიაცია საერთოდ არ უნდა იყოს და ეს საკითხი ჯერჯერობით ისევ გადაუწყვეტლად რჩება.**

**...და საერთოდაც... ავადმყოფს ექიმი უნიშნავს წამალსაც და დოზასაც. ახლა ჩვენი ქვეყანა ავადაა, ამიტომაც დაგვჭირდა კვების პროდუქტებში რადიაქტიული ნივთიერებების შემცველობის ზღვრულად დასაშვები დონის დადგენა, ბეკერელების დროებითი ნორმების შემოღება. ამისათვის კი სწორედ რესპუბლიკის ბუნებრივი ფონი ავიღე ორიენტირად, მაგრამ როდემდე გაგრძელდება** [illegible]

ესაუბრა
ციცინო ბეჟანიშვილი
ვარლამ ხანიშვილის ფოტო.

# გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" მკითხველებს

ა წ. 25 აპრილის გაზეთ „კომუნისტში" აღნიშნულია, რომ თეატრალური ხელოვნების პროპაგანდის ცენტრის სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილებამ დასაბეჭდად მოამზადა ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი ქალის თამარ პაპავას ისტორიული ნარკვევების კრებული „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში". იქვე ნათქვამია, რომ წიგნს მალე მიიღებს საზოგადოებრიობა. ითვალისწინებს რა მკითხველის დიდ ინტერესს, რედაქცია სთავაზობს მას სპეციალურ ქვითარს, რომელიც წიგნის შეძენის უფლების წინასწარი გარანტი იქნება (ქვითრის ფასი 1 მან. 50 კაპ.)

ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით გამომცემლობა „მერანთან" არსებულ კოოპერატივ „ისტორიკოსის" გამგეობა საჭიროდ თვლის გაზეთის მკითხველებს აცნობოს შემდეგი.

გამომცემლობა „მერანისა" და კოოპერატივ „ისტორიკოსის" გრიფით ფართო საზოგადოება მაისის თვის ბოლოსათვის მიიღებს მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გაფორმებულ თამარ პაპავას წიგნს „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში". წიგნის შეძენა ხელმისაწვდომ ფასებში, სრულიად თავისუფლად, ყოველგვარი ქვითრის (მით უმეტეს ფასიანის) გარეშე შეეძლება ნებისმიერ მოქალაქეს გამომცემლობა „მერანის" საფირმო მაღაზიაში (გაზეთ „ზარია ვოსტოკას" შენობის პირველ სართულზე).

თამარ პაპავას წიგნი გამოვა მასობრივი ტირაჟით.

**კოოპერატივ „ისტორიკოსის" გამგეობა.**

# წაბლანელთა აქცია ეროვნული დროშის ქვეშ მიმდინარეობდა!

მიმდინარე წლის 16 აპრილს ჩაქვსა და ბათუმში დაწყებულმა აქციამ სრულიად საქართველოს ყურადღება მიიპყრო. საზოგადოების სხვადასხვა ფენებში გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა, ზოგჯერ კი ჭორის დონეზე დაყვანილ საეჭვო ორიენტაციის ინტერპრეტაციები, რამაც სამწუხაროდ პრესაშიც იჩინა თავი.

ზემო აჭარის მკვიდრთა, ჭვანელთა თვითნებური „ჩასახლება" ჩაქვში თავშივე ატარებდა უსაფუძვლობას, რაც თავად ჭვანელებმაც აღიარეს ბოლოს და იქვე გამოიკვეთა იმ ეჭვის საფუძვლიანობაც, რომ ეს ხალხი გარკვეული ჯგუფის მიერ იყო წაქეზებული ამ მეტად სახიფათო ნაბიჯზე. „სტუმარ-მასპინძლის" დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ აქციამ მშვიდობიანად ჩაიარა და ავცდით იმ არასასურველ ინციდენტს, რომლის ხელოვნურად გამოწვევასაც ცდილობდნენ გარკვეული რეაქციული ძალები.

დამოუკიდებლად მიმდინარეობდა წაბლანელთა აქცია ბათუმში აჭარის მინისტრთა საბჭოს შენობის წინ. სადაო არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ წაბლანელები მართლაც დიდ გაჭირვებას განიცდიან და მათი მოთხოვნებიც არც მთლად უსაფუძვლო იყო. სავალალოა, რომ რიგ პროვოკატორთა მიერ წამოსროლილ სიტყვებს ზოგჯერ ხალხის ნება-სურვილის გამომხატველ სფეროში ვაქცევთ და ნებსით თუ უნებლიეთ მართლაც რომ მტრის წისქვილზე ვასხამთ წყალს. არადა წაბლანელთა აქცია ეროვნული დროშის ქვეშ, ეროვნული სულისკვეთებით მიმდინარეობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ აქაც წაბლანელ გლეხკაცთა გონიერებამ გვიხსნა შესაძლო უსიამოვნებისაგან.

ბუნებრივია, საზოგადოება დაინტერესებულია იმ საეჭვო ორიენტაციის მქონე ჯგუფის საქმიანობით, რომლებიც სარგებლობენ რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე მდგომარეობით, საეჭვოდ ამღვრევენ წყალს და ისიც მოსახლეობის სახელით. მათი საქმიანობის ნამდვილი არსი ყველამ გაიგო, დადგა ალბათ დრო, ფარდა ავხადოთ ბოროტების სამჭედლოს ფილიალებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

ამჯერად, ჩვენ შეგნებულად არ ვასახელებთ მათ სახელსა და გვარს, „ვარლამ ალასთანა" კაცებს ჩვენ მტრად ვერ ვიკადრებთ, რამეთუ, „არც გრილ არს, არც ტფილ გვეგულვება აღმონერწყვად პირისაგან ჩვენისა". შეუძლიათ გაფრთხილებად ჩასთვალონ ჩვენი წერილი იმ პირებმა, რომელთა საეჭვო ალიანსი საეჭვო „კომიტეტებთან" მხარს უბამს „მავან ჯგუფთა პირად ინტერესებს". მათ მოუწევთ პასუხის გაცემა, თუ რატომ ცდილობენ თავიანთ მავნებლურ ჩანაფიქრს დაუმორჩილონ კიდეც მთელი აჭარის მოსახლეობის, თვით აჭარელი კაცის მშვიდობიანი და კაცთმოყვარული ინტერესები. ერის მტრობაა ასეთი მხარდაჭერის მცდელობაც კი, და მისგან გამომდინარე შესაძლო, მეტად არასახარბიელო შედეგებიდანაც, ღმერთმა დაგვიფაროს, პასუხსაც ისინი აგებენ, ვინც ნებსით თუ „უნებლიეთ" სამართალს გზა დაუხშო და თავისი უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებით მომავლის სხვა შესაძლო დანაშაულსაც ჩაუყარა საფუძველი.

**ნოდარ იმნაძე**

**რედაქციის განმარტება:** ჩვენი გაზეთის 21 აპრილის ნომერში დასტამბულ წერილში „მოვითხოვთ მიწებს აწ ჭირისუფალი დაკეტილ კართან" რაიონების ხელმძღვანელთა სიტყვები უნდა გამოყოფილიყო შავი შრიფტით. ტექნიკურმა შეცდომამ გამოიწვია გაუგებრობა: კერძოდ, საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველი მდივნის სიტყვა მთავრდება პირველ აბზაცთან. შემდგომი ნაწილი, საქართველოს კომპარტიის შუახევის მეორე მდივნის სიტყვამდე, ავტორისეულია.

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

12 მაისს, 11 საათზე, სხდომათა დარბაზში (მ. კოსტავას ქ. 77, ადმინისტრაციული კორპუსი) აბიტურიენტთათვის ეწყობა

## „ღია კარის დღე"

მათ შეხვდებიან მეთოდური კომისიების ხელმძღვანელები, [illegible]

დღეს აბიტურიენტთათვის იმუშავებს ყველა ფაკულტეტი და კათედრა.

პროგრამაში ფაკულტეტების, კათედრების, სასწავლო ლაბორატორიების დათვალიერება, [illegible] პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტობასთან.



**რამდენიმე** დღის წინ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის საინიციატივო ჯგუფმა მოაწყო თეორიული დისკუსია თემაზე: „ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ფორმები საქართველოში“. ძირითადი მოხსენება გააკეთა ჯგუფის ხელმძღვანელმა დოც. ლოვარდ ტუხაშვილმა. მან განმარტა ე. წ. „ორიანობა“, შუა საუკუნეების პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი, ისტორიის პოზიციებიდან გაანალიზა შეურიგებელი ოპოზიციის მიერ შექმნილი ეროვნული ფორუმის პროგრამის პერსპექტივები.

მოწვეულ სტუმრებს მიესალმა ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი გოჩა ჩოგოვაძე.

დისკუსიაში მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნულ ფორუმში შემავალი ჰელსინკის ჯგუფი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, ქრისტიან-დემოკრატთა კავშირი, დემოკრატიული პარტია, აგრეთვე სხვადასხვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ეროვნული მოძრაობის გზებსა და მეთოდებზე ისაუბრა საქართველოს დემოკრატიული პარტიის წევრმა თენგიზ შარმანაშვილმა, ჰელსინკის ჯგუფიდან — თეიმურაზ ქორიძემ, ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორმა პროფესორმა არჩილ მოწონელიძემ. ვრცელ გამოსვლაში ორიგინალური, პოლიტიკური შეფასება მისცა არსებულ სიტუაციას ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი წერეთელმა. მან საჭიროდ ჩათვალა ფარული კენჭისყრით ეროვნული კონგრესის არჩევა, რომელიც იქნება ქართველი ხალხის ნების გამომხატველი, იურიდიული პირი. გამორიცხა რა შესაძლებელი აჯანყება, ბრძოლის მეთოდად აღიარა ეროვნული დაუმორჩილებლობა.

კონფერენციაზე გამოვიდნენ ზვიად რატიანი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია), პარტიის წევრი ვახტანგ ტალახაძე, (დემოკრატიული პარტია), სოსო ბარათაშვილი (მონარქისტული პარტია), მალხაზ გულაშვილი (რესპუბლიკური ფედერალისტური პარტია), ვანო ხუხუნაიშვილი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია), ბადრი მაჭავარიანი (ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია), ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის თანამშრომელი აკაკი კოპაძე (სახალხო ფრონტი) და სხვები.

დისკუსიის იდეა ერთი იყო — საქართველოს დამოუკიდებლობის გზების ძიება. დარბაზში იყო კამათიც, აზრთა სხვადასხვაობაც. ერთი ნაწილი თვლიდა, რომ აუცილებელია მაქსიმალური რადიკალიზმი, ახალი დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა, ალტერნატული არჩევნები. ზოგი უზენაესი საბჭოს არჩევნებს უჭერდა მხარს. იყო საუბარი საქართველოს სათათბიროსა და კონგრესის არჩევნებზე, უზენაესი საბჭოს ბლოკირებაზე. ისიც ითქვა, რომ ძალაში რჩება ბრძოლის ძველი ფორმები: გაფიცვა, მიტინგი, შიმშილობა. იყო ალტერნატული შეხედულებანიც, საერთოდ კი დისკუსიის მონაწილენი თვლიან, რომ ბრძოლის ხასიათი უნდა იყოს დემოკრატიული, მშვიდობიანი და აკმაყოფილებდეს მორალურ-ზნეობრივ კრედოს და ეს ყველაფერი ხალხის ნებად უნდა გახდეს. გადაწყდა ანალოგიური შეხვედრები გაგრძელდეს.

# სად არის გზა ხსნისა?!

**მაია სეთურიძე**

**ანზორ კოჰლამაზაშვილის ფოტო.**

# ეროვნული ფორუმის განცხადება

როგორც ფართო საზოგადოებისათვის უკვე ცნობილია, საქართველოს ეროვნული ფორუმი დატოვეს შემდეგმა პირებმა და ორგანიზაციებმა: საქართველოს ჰელსინკის კავშირმა, მონარქისტულმა პარტიამ, შალვა წიკლაურმა, ზვიად გამსახურდიამ, ვაჟა ადამიამ, ჯემალ გოლეთიანმა, რევაზ კემულარიამ.

ეროვნული ფორუმი თვლის, რომ ამ პირთა და ორგანიზაციათა ეს საქციელი შეიძლება ჩაითვალოს ეროვნული მოძრაობის ერთიანობის საწინააღმდეგოდ მიმართულ ნაბიჯად, რომელიც ჩვენი საერთო მტრების წისქვილზე ასხამს წყალს.

ეროვნული ფორუმი მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს, მიუხედავად ობსტრუქციებისა, ის შესძლებს საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ორგანიზებასა და ეროვნული კონგრესის არჩევას.

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

**გიორგი ჭანტურია; ირაკლი წერეთელი; თორნიკე ფიფია; ვანო ხუხუნაიშვილი; გოჩა აბზიანიძე; მამუკა გიორგაძე; ზაზა სიხარულიძე; თემურ სუმბათაშვილი; ირაკლი ბათიაშვილი; ჯაბა იოსელიანი; რუსლან მიქაბერიძე; ლუიზა შაკიაშვილი; დათო ბამურელიძე; გიორგი კობახიძე; თენგიზ შარმანაშვილი; ვახტანგ ტალახაძე; ვასიკო ჭუთიძე; გურამ გოგბაიძე; ჯემალ გოჭორიძე; დავით ცისკარიშვილი.**

[illegible]. 04, 90 წ.

ფორუმის ორმა წევრმა განცხადებას მხარი დაუჭირა, მაგრამ ამ განცხადების პრესაში გამოქვეყნება არ ჩათვალა მიზანშეწონილად, რაც არ გაიზიარა ფორუმის წევრთა დიდმა უმრავლესობამ.

# ღია წერილი საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრს დემურ დვალიშვილს

როგორც ადრე გაცნობეთ, საქართველოს მშენებელთა რესპუბლიკურმა შეკრებამ მიმდინარე წლის 21 მარტს მიიღო გადაწყვეტილება, შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, მიაღწიოს მართვის, დაგეგმვისა და კონტროლის არსებული სტრუქტურების ძირეულ ცვლილებას. სათანადო თხოვნა გაეგზავნა ყველა ძირითად მაკონტროლებელ ორგანოს, მათ შორის რესპუბლიკის პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახალხო კონტროლის კომიტეტს და რესპუბლიკურ ბანკებს. ყველა უწყება სავსებით სწორად მიუდგა ჩვენს თხოვნას და მზად არის გაგვიწიოს თანადგომა, რათა ხელი შევუწყოთ დარგის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და საერთოდ, მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გაჯანსაღებას. თქვენი სამინისტრო აღმოჩნდა ერთადერთი ორგანიზაცია, ვინც წინ აღუდგა ჩვენს პროგრესულ მიზნებს. 200-ათასიანი არმიის წარმომადგენელთა გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, თქვენ მიმართეთ კონტროლისა და დაშინების ძველ პოლიტიკას, თუმცა მოგეხსენებათ, რომ ამ მეთოდმა თავისი არსებობის ათწლეულების განმავლობაში მხოლოდ უარყოფით შედეგებამდე მიიყვანა როგორც ეკონომიკა, ისე საზოგადოება. აქედან გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ თქვენ არ აპირებთ ძველი სტერეოტიპების და პრინციპების უარყოფას სიახლის და პროგრესულის სასარგებლოდ, რაც, ალბათ, გამოიწვევს ჩრდილოვანი ეკონომიკის და კორუფციის კიდევ უფრო გაღრმავებას.

სამწუხაროდ, მთელი სახელმწიფოს მასშტაბით მოქმედი სტრუქტურები და არასრულფასოვანი ნორმატული და იურიდიული საფუძველი ყველა წარმოების სფეროში იწვევს გარდაუვალ „დარღვევებს“ და განსაკუთრებით — მშენებლობაში. განსაკუთრებით იმიტომ, რომ როგორც ჩვენმა ინჟინრულმა გაანგარიშებებმა აჩვენა, ბევრი დამახინჯება ამ დარგში ხელოვნურად არის ინსპირირებული და სანამ მათი მოქმედება არ შეწყდება, ვერც „დარღვევებს“ და „დანაშაულს“ დავაღწევთ თავს, ხოლო ამ გარემოების გამოყენება პოლიტიკური თუ სხვა მიზნებისათვის არავის ჩაეთვლება ვაჟკაცობაში, ვერც ერის საკეთილდღეოდ იქნება მიმართული და წყალსაც სულ სხვის წისქვილზე დაასხამს.

საქართველოს მშენებელთა კავშირი დიდი ხანია მოითხოვდა სამთავრობო კომისიის შექმნას არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით და როგორც იქნა მიაღწია საკითხის განხილვას მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე 1990 წლის 25 აპრილს, მაგრამ ჩვენთან კონსტრუქციული დიალოგისათვის ვერ მოიცალეთ. არადა მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. ასეთ ვითარებაში კი დაპირისპირება და განხეთქილება ვერ მიგვიყვანს სასიკეთო შედეგებამდე.

**თენგიზ ჟორჟოლიანი,**
**საქართველოს მშენებელთა კავშირის პრეზიდენტი.**

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა მიმართვა საქართველოს ხელისუფლებას, სრულიად საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საქტელერადიოსა და პრესას

19 აპრილს გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნდა რუსუდან ალხაზაშვილისა და ნესტორ ჩიქოვანის მიმართვა საქართველოს ხელისუფლების, სრულიად საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის, საქართველოს ჯანდაცვის ორგანოების და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისადმი 5 წლის დათო ჩიქოვანის საზღვარგარეთ სასწრაფოდ გაყვანის შესახებ მკურნალობის მიზნით.

ვინაიდან ბავშვის მდგომარეობა ამჟამად მეტად დამძიმებულია და მისი ჯანმრთელობა არასასიკეთოდ პროგნოზირდება, ამიტომ დაბეჯითებით გთხოვთ ზემოთ აღნიშნულმა ადრესატებმა გადადგან ქმედითი ნაბიჯები პატარა დათოს და მისი მშობლების დაუყოვნებლივ გასაგზავნად აშშ-ს რომელიმე წამყვან ნეიროქირურგიულ ან სადიაგნოსტიკო ცენტრში სათანადო ფინანსირებით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მოუწოდებს საქართველოს სახალხო განათლების ყველა რგოლს, საქართველოს ყველა საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას და მოქალაქეს აქტიურად დაუჭირონ მხარი ჩვენს თხოვნას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თხოვნით მიმართავს სრულიად საქართველოს ყველა ორგანიზაციას და მოქალაქეს ამ მიზნით გაღებული ვალუტა გადარიცხოს სსრკ საგარეო საქმიანობის ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის ანგ. № 90440001-ზე.

**გოჩა ჩოგოვაძე,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი**

# პასუხად პუბლიკაციისა „ვფიქრობთ, დაინტერესდებით“

ჩვენ ამ წერილით არავის დაცვას არ ვაპირებთ, რადგან დარწმუნებული ვართ, „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ამას არ საჭიროებენ და მითუმეტეს, ჩვენგან. არც იმ ხმების გაქარწყლებას ვაპირებთ, თითქოს სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის დაშლა და მისი ადლერში გადატანა განუზრახავსო დირექტორს. არ ვაპირებთ იმიტომ, რომ ამ ეტაპზე ამის დასტურად არავითარი მტკიცება-საბუთი არ გაგვაჩნია (ყოველ შემთხვევაში, თუკი ეს ინფორმაცია სიმართლესთან ახლოსაა, მაშინ იგი ჩვენთვის ხელმიუწვდომელი ყოფილა). ამას, ვიმედოვნებთ (დღევანდელი დაძაბული სიტუაციიდან გამომდინარე), ჩვენი ინსტიტუტის დირექტორი გააკეთებს. მისი განცხადება, იმედია, ავტორიტეტულიც იქნება და სარწმუნოც. ჩვენ შავი ზღვის საკურორტო ზოლისა და მისი მიმდებარე რეგიონების ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ინსტიტუტის „წვლილსაც“ არ შევეხებით, ვინძლო ამ საკითხში არაკომპეტენტურნი ვიყოთ. ეს, ალბათ, ამასწინათ ინსტიტუტში მოვლინებულმა კომისიამ გააკეთა. ალბათ-თქო, ვამბობთ, რადგან არ ვიცნობთ ამ კომისიის დასკვნას და არ გავეცანით იმ იმედით, რომ ინსტიტუტის დირექცია ყურად იღებდა და ალბათ, ყურად იღო კიდეც ამ კომისიის მითითებები და თუ როგორ იღო ყურად, ალბათ, ამასაც დირექცია მოგახსენებთ თავის სავარაუდო განცხადებაში (ასეთი განცხადების გაკეთება კი ჩვენის აზრით, აუცილებელია).

საკითხი, ჩვენი ინსტიტუტის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისთვის გადაცემის შესახებ ინსტიტუტის 700-კაციან კოლექტივში, სამწუხაროდ, საკამათოა და ეს, გარკვეული მიზეზების გამო, გასაგებიცაა. თუმცა, ჩვენი პოზიცია სრულიად კატეგორიულია და არაორაზროვანი — **ეს დიდი მამულიშვილური საქმეა, და ყველა, ვისაც ძალუძს თავისი წვლილი შეიტანოს ეროვნული მეცნიერული სკოლის განმტკიცებისა და მისი საერთაშორისო ასპარეზზე გასვლისათვის, მოვალეა ენერგიულად განახორციელოს იგი.** უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, რომლის მიმართ საყვედურიც კი ითქმის, რამეთუ, საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენებით მეტი დაინტერესება და ქმედითობაა საჭირო, რაც არც ადრე იგრძნობოდა და არც ახლა. ჩვენი სურვილია (და, ალბათ, არა მარტო ჩვენი), ინსტიტუტი ჩაერთოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, მაგრამ ეს ისე არ უნდა იქნას გაგებული, თითქოს ჩვენ ერთი, ამ შემთხვევაში, ცენტრის დიქტატის ადგილობრივი დიქტატით შეცვლას მოვითხოვთ. მეცნიერული კვლევის ავტონომიას სწორედ რომ საკავშირო დაქვემდებარებიდან გამოსვლა შეუწყობს ხელს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა ვალია მთლიანად გამოიყენონ ინსტიტუტის მეცნიერული პოტენციალი და შექმნან პირობები ქართული მეცნიერული სკოლის აღმავლობისათვის.

ორიოდე სიტყვა ჩვენს ინსტიტუტში შექმნილ მორალურ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროზე. რაზედაც საუბარია წერილში. ჩვენთან, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, არიან ადამიანები, რომლებიც არ თანაუგრძნობენ ეროვნულ მოძრაობას, უპირისპირდებიან ამ მოძრაობის ავანგარდში მყოფ პროგრესულ პარტიათა მოსაზრებებსა და მოქმედებას, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს პრობლემა თავისთავად გადაიჭრება. ცხოვრება ყველაფერს მიუჩენს თავის დამსახურებულ ადგილს. რაც შეეხება ინსტიტუტში ქართველების ტოტალურ დევნა შევიწროებას, ჩვენი აზრით, ეს სიმართლეს არ შეესაბამება. თუ ინსტიტუტში არსებული რაიმე წინააღმდეგობა არსებობს, ის მარტო ქართველების პრობლემა არ არის. ზოგჯერ პირიქითაც, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მიუხედავად შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებისა, ეს სრულებით არ უშლის ხელს ზოგიერთ ქართველს მშვიდად და უზრუნველად იცხოვროს და იმუშაოს.

მოგვიტევოს „ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქციამ, თუკი გავკადნიერდებით და საყვედურს გამოვთქვამთ მის მიმართ, თუ თქმაა, სათქმელი ბოლომდე უნდა ითქვას, რედაქციაში შემოსულ მასალას ალბათ, ჯერ შეისწავლიან ხოლმე (კორესპონდენტს მიავლენენ) და შემდეგ გადაწყვეტენ მისი დაბეჭდვა-არდაბეჭდვის საკითხს, რაც ამ შემთხვევაში, თუ არ ვცდებით, არ მომხდარა. არ იქნებოდა კი ურიგო. ვფიქრობთ, ინსტიტუტი იმსახურებს ამგვარ ყურადღებას, მითუმეტეს, როცა კოლექტივში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

რაც შეეხება ეკოლოგიას, ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ სავსებით შესაძლებელია ინსტიტუტის ფუნქციონირება ისე, რომ მან გარემოს ზიანი არ მიაყენოს.

და ბოლოს, ჩვენი დიდი სურვილია, რომ ინსტიტუტი და მისი მრავალეროვანი კოლექტივი განვითარდეს და ეს ის მთავარი პირობაა, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული მეცნიერული სკოლის აღმავლობას.

**მამუკა ბარამია,**
**სოსო ჩოჩია,**
**იოსებ აკობიძე,**
**ბადრი ჯალაღონია.**

# საქართველოს რესპუბლიკურ ფედერალური პარტიის მიმართვა საქართველოს კანონიერი მოსახლეობისადმი

თანამემამულენო!

დღეს ქართველი ერი სერიოზული საფრთხის წინაშე დგას! იმპერიის წმინდა კოლონიალური პოლიტიკა თანდათანობით იცვლება ნეოკოლონიალური პოლიტიკით, რაც გამოიხატება ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკურად კიდევ უფრო მეტად დაკაბალებაში.

ფაქტია, რომ საქართველოს ეროვნული ეკონომიკა დღეს არ არსებობს და საქართველო წარმოადგენს ერთიან საკავშირო სამეურნეო კომპლექსის შემადგენელ ნაწილს. თავად ეს მეურნეობა სამი ნაწილისაგან შედგება: ა) კოლონიური ეკონომიკა ანუ ე. წ. საკავშირო დაქვემდებარების წარმოებადაწესებულებები; ბ) სახელმწიფო მონოპოლისტური ეკონომიკა ანუ რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოები; გ) კერძო ეკონომიკა, რომელიც ჩანასახის მდგომარეობაში იმყოფება და რომელიც წარმოადგენს დღეს ეროვნულ ეკონომიკას.

ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით შეიმჩნევა კოლონიური ეკონომიკის (ე. წ. საკავშირო უწყებების) აქტიურობა. მაგალითად, საქართველოში იხსნება კომერციული ბანკების ფილიალები, რომელთა ერთადერთ მიზანს საქართველოდან ცენტრში ფულადი რესურსების გადაქაჩვა წარმოადგენს და ემსახურებიან საქართველოს ეკონომიკურ დაკაბალებას.

ძალიან სერიოზული პრობლემაა გადახდის უუნარო საწარმოთა ბედი, რადგან მათი შესყიდვის უფლება აქვს ნებისმიერ ორგანიზაციას. რადგან ფულადი სახსრები ძირითადად საკავშირო ორგანიზაციების, საზოგადოებრივი გაერთიანებების ხელშია თავმოყრილი, მათი პოტენციური მყიდველებიც ისინი არიან.

საერთოდ უმართავი პროცესია საგარეო ეკონომიკური კავშირები და ერთობლივი საწარმოების გახსნა. საზოგადოებისათვის უცნობია, რა სახის პროდუქცია გადის საქართველოდან, რა ფასად, როგორია ანალოგიური სახის პროდუქციაზე მსოფლიო ფასები. ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთობლივი საწარმოების გახსნა არ შეესაბამება ეროვნულ ინტერესებს, არცთუ იშვიათად, ისინი იხსნება ნომენკლატურული თანამდებობის პირთა დაინტერესებით, რომლებიც შემდეგ ამ საწარმოებში ხელმძღვანელ პოსტებს იკავებენ. დაუშვებელია ფოთის თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოცხადება, რაც სხვა არაფერია, თუ არა იმპერიული ძალებისა და ადგილობრივ მაფიის მიერ საქართველოს მეოთხე ავტონომიური ერთეულის ჩამოყალიბების ცდა, რასაც მხარს უჭერს დღევანდელი ხელისუფლება.

უკვე არის შემთხვევები, როდესაც ქართული მიწა იჯარით ეძლევათ უცხოელებს (მაგ. თიანეთის რაიონში). ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თუ ადრე ჩვენი მიწა ჩვენს მეზობლებზე საბჭოთა მანეთით იყიდებოდა, დღეს იგი უცხოელებზე იყიდება კონვერტირებული ვალუტით.

მოსკოვის მიერ მიღებული კანონები საკუთრების, მიწის, ადგილობრივი თვითმმართველობის, იჯარის შესახებ და კანონპროექტთა პაკეტი, რასაც ცენტრი ამზადებს ე. წ. რეგულირებად საბაზრო მეურნეობაზე გადასასვლელად, კიდევ უფრო გაამწვავებს ამ პროცენტებს და თუ მათ ახლავე არ აღვუდექით წინ, შეიძლება ახლო მომავალში გასათავისუფლებელი აღარაფერი დაგვრჩეს, ჩვენი ეროვნული სიმდიდრე ჩვენ აღარ გვეკუთვნოდეს და ჩვენს სამშობლოში დაქირავებულ მუშებად ვიქცეთ.

ამ დროს კი საქართველოში ჩნდებიან ძალები, რომლებიც მოითხოვენ, რომ ძირითადი ყურადღება სწორედ „ეკონომიკური რეფორმის განხორციელებაზე იქნეს გადატანილი“, რომ თითქოს ეროვნულ მოძრაობას „არა აქვს ამ პროცესის, დისკრედიტაციის (?!) უფლება“. ისინი ამოფარებულნი არიან [illegible] პროგრესული დემოკრატების ნიღაბს და ამავე დროს, რატომღაც [illegible] თავს ეროვნულ მოძრაობის გასუფთველ ნაწილად აცხადებენ, დემაგოგიურად ქადაგებენ თავისუფალი მეწარმეობის და საბაზრო მეურნეობის შესახებ, რითაც ფაქტობრივად ხელს უწყობენ მოსკოვის იმპერიული ნეოკოლონიური პოლიტიკის გატარებაში.

საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალურ პარტიას მიაჩნია, რომ თავისუფალი მეწარმეობის პრინციპებზე საქართველოს ეკონომიკის გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ ეროვნულ ეკონომიკის ჩამოყალიბების, კოლონიური ეკონომიკისაგან თავის დაღწევის დაკვალად. შეუძლებელია თავისუფალ მეწარმეობაზე ლაპარაკიც კი არსებული პოლიტიკური სისტემის ფარგლებში, შეუძლებელია პოლიტიკური სისტემის ცვლილების გარეშე მიღწეულ იქნეს რეალური ცვლილებები ეკონომიკაში. ქართველ მეწარმეებს უნდა ჰქონდეთ მეწარმეობრივი საქმიანობის შესაძლებლობის რეალური გარანტიები; ამ გარანტად კი მხოლოდ და მხოლოდ საპარლამენტო ოპოზიცია შეიძლება იყოს, რომელიც გამოხატავს და დაიცავს გლეხთა, მოიჯარადეთა, აქციონერთა, საერთოდ თავისუფალ მეწარმეთა ინტერესებს, მთლიანად ქართველი ერის ინტერესებიდან გამომდინარე.

ამრიგად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ პირველი რიგის ამოცანაა რეალური მრავალპარტიულობის დამკვიდრება, საპარლამენტო ოპოზიციის ჩამოყალიბება, რის შემდეგაც შეიძლება ეროვნული ეკონომიკისათვის საფუძვლების ჩაყრა სოციალური (და არა რეგულირებადი) საბაზრო მეურნეობის პრინციპების საფუძველზე.

**საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია**

## საქართველოს რესპუბლიკურ ფედერალური პარტიის ეკონომიკური კოლეგიის მიმართვა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ეკონომიკური კომისიისადმი

საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის ე. წ. კონცეფციების და მათ შორის რუსთაველის საზოგადოების ალტერნატიული ვარიანტის მიმართ ჩვენ არა ერთხელ გამოგვიხატავს ჩვენი უარყოფითი დამოკიდებულება, რაც, ძირითადად, გამოწვეულია იმით, რომ ჯერ ერთი, ყველა კონცეფცია ემყარება რეგულირებადი ეკონომიკის სოციალურ-დემოკრატიულ თეორიებს და ითვალისწინებს სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ეკონომიკის სფეროში; მეორეც, მათში საქართველო განხილულია არა როგორც ანექსირებული ქვეყანა, რომელიც იბრძვის თავისი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, არამედ როგორც ე. წ. „განახლებული ფედერაციის“ შემადგენელი ნაწილი, რომლის „ეკონომიკური დამოუკიდებლობა უნდა შეთავსდეს ხელშეკრულების წესით დადგენილ საბჭოთა კავშირის ფუნქციებთან“.

თქვენ თქვით, რომ „საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოცემული კონცეფციის ხორცშესხმისათვის აუცილებელია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ 1922 წლის ხელშეკრულების გადასინჯვა და განახლება. რესპუბლიკის კონსტიტუციური უფლებების დაცვა“, გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე უშვებთ საერთო-საკავშირო საკუთრებას და ა. შ.

თქვენს მიერ დამუშავებულ ამ კონცეფციას ფართო რეკლამა უკეთდება არა მარტო რესპუბლიკური, არამედ საკავშირო ორგანოების მიერაც. იგი სულ ახლახან გამოქვეყნებული იყო ჟურნალ „ვოპროსი ეკონომიკის“ 1990 წლის მე-2 ნომერში, რასაც ჩვენ საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ [illegible] ერთ პროვოკაციად მივიჩნევთ, რადგან ამ კონცეფციის [illegible] ნიშნავს ახალ საკავშირო ხელშეკრულების დადებას სა[illegible] ფედერაციის ფარგლებში, რასაც ასე გულმოდგინედ ცდილობს ცენტრი და რითაც საქართველო სამუდამოდ დარჩება მოდერნიზებული საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში.

გამომდინარე აქედან, ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია გამოქვეყნდეს თქვენი [illegible] პოზიცია საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციების, კერძოდ კი რუსთაველის საზოგადოების ალტერნატიული ვარიანტის მიმართ. სასურველია აგრეთვე შეფასება მისცეთ აღნიშნული პროექტის რეკლამირების ფაქტს საკავშირო ორგანოების მიერ.

**საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის ეკონომიკური კოლეგია.**

# საქართველოს თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა კოლონიური სტატუსის აღიარებაზე გადის

ამა წლის 22 აპრილს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით მოეწყო თათბირ-სემინარი, სხვა პოლიტიკური პარტიების მონაწილეობით, საქართველოს თავისუფლების ალტერნატიული გზების ძიების შესახებ.

კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია განიხილავს რა სსრკ-ს შემადგენლობაში საქართველოს ფაქტიურ და იურიდიულ მდგომარეობას, აღნიშნავს, რომ 1921 წლის 11 თებერვლიდან საბჭოთა რუსეთმა დაიწყო საქართველოს ინტერვენცია, საოკუპაციო რეჟიმის პირობებში დაამხვრია დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფო მექანიზმი და შექმნა ფაქტიურად კოლონიური სახელმწიფო ფაქტიური ანექსიის ფორმით. იურიდიულად იგი გაფორმდა როგორც სრულუფლებიანი საბჭოთა რესპუბლიკა (1922 წლის საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი), რომელიც 1936 წლიდან მოკავშირე რესპუბლიკაა.

სსრკ-ს შექმნიდან, მთელი ისტორიის მანძილზე, არც ერთ მოკავშირე რესპუბლიკას არ უსარგებლია იურიდიულად აღიარებული სუვერენული უფლებებით, რომლის გარანტია — კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება— ასევე კონსტიტუციითაა აღიარებული. უკანასკნელ პერიოდში კი ეროვნულ მოძრაობათა აღმავლობას მოჰყვა ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობის ცდა. ცენტრმა დაიწყო დემოკრატიული იარაღის (კონსტიტუციურ შესაძლებლობათა გამოყენების) ხელიდან წართმევის პოლიტიკა ისეთი კანონების მიღებით, როგორიცაა ანტიკონსტიტუციური აქტი „სსრკ-დან მოკავშირე რესპუბლიკათა გასვლის წესის შესახებ“, „სსრკ მოკავშირე და ავტონომიური რესპ[illegible] [illegible]ნომიური ურთიერთ[illegible] [illegible]უფლებების შესახებ“ და სხვა და სხვა. ყველა ამ აქტით ცენტრალური მმართველობა განამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკათა ფაქტიურ კოლონიურ მდგომარეობას.

ასეთ სიტუაციაში კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია საქართველოს თავისუფლებისაკენ მიმავალ გზად აცხადებს მისი ფაქტიური მდგომარეობის კოლონიური სტატუსის აღიარებას და ე. წ. საქართველოს უზენაესი საბჭოს სახელის შეცვლას კოლონიური თვითმმართველობის ადმინისტრაციით და აქედან გამომდინარე, შეეცდება ყველა პოლიტიკური და საერთაშორისო სამართლებრივი შესაძლებლობების გამოყენებას საქართველოს სრული თავისუფლებისათვის.

**კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია.**

# აქა ამბავი ბედდამწვარი წერილისა

ეს წერილი ჯერ კიდევ გასულ წელს დაიწერა და მას შემდეგ ობმოდებული დევს რედაქტორის ცეცხლგამძლე ხეიფში.

ვფიქრობ და ვერ გამიგია რატომ უნდა იჭყვებდეს თავს პატივცემული რედაქტორი მის დაბეჭდვაზე, მითუმეტეს ახლა, როცა პრესა თანდათანობით თავისუფლდება პარტიულ-ადმინისტრაციული დიქტატისაგან და ჩვენი გაზეთები ერთმანეთს ტოლს არ უდებენ სიმძაფრესა და სითამამეში.

ბევრი ველოდე თუ ცოტა ველოდე, როგორც იტყვიან, მოთმინების ფიალა ამევსო და გადავწყვიტე სამტრედიის სარაიონო გაზეთ „წინსვლაში“ დატყვევებული წერილი სხვა გაზეთში გამომექვეყნებინა. შარშან გულუბრყვილოდ მეგონა, ჩვენი რაიონის შინაურ საქმეებს რაიონშივე გავარკვევთ-მეთქი... ახლა კი ჩვენი ოჯახური ამბავის მეზობლებში გამოტანა გადამაწყვეტინა არა ქვენა რამ გრძნობებმა ან აკვიატებულმა ჟინმა, რადაც არ უნდა დამჯდომოდა ნეიტრალურ მოედანზე „ანგარიში გამესწორებინა“ ურჩი რედაქტორისათვის, არამედ იმან, რომ როგორც მკითხველი დამეთანხმება, წერილში წამოჭრილი საკითხები ადვილი შესაძლებელია რამდენადმე ეხებოდეს სხვა სარაიონო გაზეთებსაც.

რაც შეეხება თვით გაზეთ „წინსვლას“, მიუხედავად პროგრესულად მოაზროვნე რამდენიმე თანამშრომლის მცდელობისა, იგი ჯერ კიდევ ვერ თმობს სტანდარტულსა და დრომოჭმულ პოზიციებს, გაჭიქებული დგას უანგმოდებულ წრიულ ლიანდაგზე და მსოფლიო პროლეტარიატის შეერთების იმედით ღრჭიალ-ღრჭიალით მიჩაქჩაქებს კაცობრიობის ნათელ მომავლად მონათლულ კომუნიზმისაკენ.

ალბათ სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ სამტრედიელი ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა (რომლებსაც, კაცმა არ იცის, ვინ და რატომ უწოდა „არაფორმალები“!) ამ ცოტა ხნის წინ ჯადაწყვიტა საინფორმაციო ვაკუუმის შესავსებად გაზეთ „წინსვლით“ გულმოყირჭებული მკითხველისათვის თავიანთი ალტერნატიული გაზეთი შეეთავაზებინა, რომელიც, მიუხედავად ცალკეული ხარვეზისა, იმდენად საინტერესო და აქტუალური გახადეს, რომ თუ ხალხს „წინსვლისათვის“ სამი კაპიკიც ენანება, მანეთად ნაშოვნ „არაფორმალთა“ გაზეთს სამტრედიელები ერთმანეთს ჩუქნიან!

და ბოლოს ორიოდე სიტყვა თვით უფალ რედაქტორზე (რომელიც ამ პუბლიკაციას უსათუოდ მტრულ გამოხდომად ჩამითვლის) და მის პოზიციაზე. ბოლოს და ბოლოს, როცა ელვის სისწრაფით ცვალებად პროცესებს ალღოს ვერ ვუღებთ, როცა საქაროობას ფეხს ვერ ვუწყობთ, ანდა სულაც არ ვაზიარებთ, ეს ტრაგედიად კი არ უნდა აღვიქვათ, არამედ უნდა გვეყოს ვაჟკაცობა და ის ადგილი, რომელსაც ჯიუტად, არაშემოქმედებითად და პრინციპულად ვიკავებთ, პატიოსნად დავუთმოთ ახალგაზრდული ენერგიითა და შესაფერისი კომპეტენციით დატვირთულ პიროვნებებს. არადა, როგორც მოქალაქეს, გაზეთ „წინსვლის“ ამჟამინდელ რედაქტორს უპატიოსნებას მართლაც ვერავინ ვერ დასწამებს. შთავარია დამნაშავეა ის, ვინც თავის დროზე პირადი ახირებისა თუ შორსგამიზნული ზრიკებით კადრები არასწორად განაწილა და მეექუდეს მეურმის საქმე დაავალა, ხოლო მეწაღეს მეხანძრისა, რომელიც, როგორც ცნობილია, ხშირ შემთხვევაში მატარებლის დეპოში შესვლასაც ვერ გრძნობს.

თავის დროზე ტყუპისცალებად და პარტიის ექოსაღებუნად ჩაფიქრებული სარაიონო გაზეთები ან საერთოდ უნდა გავაუქმოთ (მითუმეტეს ქაღალდის მწვავე დეფიციტის პირობებში) ან არადა დღევანდელი საქართველოს საკადრისად გარდავქმნათ მათი ფორმა და შინაარსი. პრესას სინათლე და სიმართლე უნდა შეჰქონდეს ხალხში და არა ყავლგასული იდეები!...

დღეს კი სარაიონო გაზეთების დიდი უმრავლესობა, უკაცრავად პასუხია და, თვალების ხალეჭ რეზინას მოგვაგონებს.

ქვემოთ გთავაზობთ იმ ბედდამწვარ წერილს, რომლის „თავგადასავალიც“ ორიოდე სიტყვით გაგაცანით.

# ღია წერილი გაზეთ „წინსვლის“ რედაქტორს

პატივცემულო რედაქტორო!

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არსებული წესის თანახმად, თქვენს გაზეთს სისტემატურად ეგზავნება საკდესის (საკავშირო დეპეშათა სააგენტოს) მიერ მომზადებული მასალები. ბუნებრივია, გამომგზავნს შორსგამიზნული გეგმები აქვს და მაინცა და მაინც არ იკლავს თავს ამა თუ იმ გაზეთის სპეციფიურობის დასადგენად, თუმცა კი მასალის შერჩევაში რედაქტორებს სრულ თავისუფლებას ანიჭებს. აქედან გამომდინარე, მთლიანად რედაქტორზეა დამოკიდებული საკდესის მასალებიდან რომელს მიიჩნევს აქტუალურად, პირველ რიგში დასაბეჭდად ან საერთოდ გვერდზე გადასადებად. მთავარია რა კრიტერიუმებით ვიხელმძღვანელებთ.

სწორედ ამიტომ ჩემი ყურადღება მიიქცია თქვენი გაზეთის ერთ-ერთმა ნომერმა (25. XI 89) რომელშიც დაბეჭდილია საკდესის ფოტოქრონიკა სათაურით „ქართველები ბამზე“. აი, რას ვკითხულობთ აქ:

„ჩიტის ოლქი. იკაბია — ერთ-ერთი ულამაზესი დაბაა ბამზე. იგი ციმბირის ტაიგაში „გრუსტროიბამის“ სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მუშაკებმა ააშენეს. ისინი ამ მხარეში 14 წელია მუშაობენ და ახლა მეორე დაბაში იმყოფებიან. პირველი კი ნია იყო. მათი მუშაობის ვადა მიმდინარე წელს მთავრდება, მაგრამ ბევრმა მშენებელმა თავისი ბედი ამ მკაცრ მხარეს დაუკავშირა, შექმნა ოჯახები და დარჩება გადაწყვიტა.

**სურათზე:** დაბა იკაბიას მშენებლის ოჯახი: ქართველი ამირან ბობოხიძე და მისი მეუღლე აფხაზი რიტა. მათ ორი ვაჟიშვილი ჰყავთ — გერონტი და ლაშა“.

აქვე, ვ. საიაპინის ფოტოზე (ვერაფერს იტყვი — საიაპინმა მშვენივრად იცის სად რა გადაიღოს!) ვხედავთ „მისაბაძ“, „ბედნიერ“, „ბედით კმაყოფილ“ ქართულ ოჯახს იმ სახლის ფონზე, რომლის ერთ-ერთ თაღზეც შოთა რუსთაველის პორტრეტი და ქართული ანბანია გამოსახული.

ახლა მე თქვენ გულუბრყვილოდ გეკითხებით: რა ნიშნით შეირჩა ეს მასალა სამტრედიელი მკითხველებისათვის? რა გვინდა ამით ვუთხრათ მათ? რა კარგია ქართველები ბამზე რომ შრომობენ? იმ ბამზე, რომლის მშენებლობაც საზოგადოების ფართო ფენებში და დირექტიულ ორგანოებშიც კარგა ხანია საეჭვო, გაუმართლებელ, დანაშაულებრივ და წამგებიან მშენებლობადაა მიჩნეული?! (იმდენს ნუ ვიზამთ, ესეც ქართველებს დაგვაბრალონ... მე შენ გეტყვი, ჩვენს გონებაში ენა არა აქვთ აღესილი!) რა კარგია შორეულ ტაიგაში რომ ვიწყვეტთ წელს, მაშინ, როცა შინაც უამრავი საქმე გვაქვს და მუშახელს „იმპორტით“ სახით გვატენიან?! იქნებ იმის თქმა გვინდა — რა კარგია ქართველმა კაცმა რომ „ინტერნაციონალური“ ოჯახი შექმნა და საცხოვრებლად ჩიტის ოლქში დასახლდა? კი, მაგრამ იმ დალოცვილებმა მარადმწვანე წალკოტი მიატოვეს და მაინცა და მაინც იქ დასახლდნენ, სადაც 12 — თვე ზამთარია? ჩიტის ოლქში ხომ ჩვენებური ჩიტიც ვეღარ ძლებს (მთის ჩიტი მთაში ჩაკვდაო! — ). ეს ჩვენი ამირანი და რიტა რამ აიძულა მარადყვავილოვანი და მცირერიცხოვანი სამშობლო მიეტოვებინათ და მრავალრიცხოვანი რუსეთის მარადთოვლიან იკაბიაში დასახლებულიყვნენ?! მართალია მათ შვილებს, გერონტის და ლაშას იქაურ სკოლაში არავინ გააგონებს, მაგრამ ჩვენს შვილებს ხომ უნდა ვასწავლოთ — „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს, სხვა ქვეყნის სამოთხეზედა...“! მერედა რა იფიქრონ მესაურელმა და ჰოგნარელმა მოსწავლეებმა — აქ უნდა ვიშრომო და ვიცოცხლო თუ მეც ამირან ბიძიასა და რიტა დეიდას მივბაძავ, ჩიტაში გადავსახლდე-ბი და თითის სიმსხო კოლოებს დავალევინებ ჩემს ქართულ სისხლსო?!

საკავშირო დეპეშათა სააგენტომ იქნებ მისთვის სასურველი სხვა „მარგალიტებიც“ შემოგვაჩჩიროს, მაგრამ ჩვენ განა მაშინვე უნდა ვეცეთ და გადმოვბეჭდოთ!

ზემოთაღნიშნული მასალის დაბეჭდვას მხოლოდ მაშინ ექნებოდა გამართლება თუ სარედაქციო მინაწერში წავიკითხავდით შემდეგს: „ძვირფასო მკითხველებო, გთავაზობთ საკდესის ფოტოინფორმაციას და მოგიწოდებთ, ნუ მიჰბაძავთ ამირან ბობოხიძეს, რომელმაც გაურკვეველი მიზეზების გამო ცოლშვილს სასტიკი განაჩენი გამოუტანა და საქართველოდან ციმბირში გადაასახლა!“

დიახ, ვისაც რუსთაველი და ქართული ანბანი უყვარს ის მარადყინულოვან ბამზე კი არა, სემირამიდას ბაღში ვერ გაძლებს!

გთხოვთ მკითხველებს განვუმარტოთ, ძირითადად რა სახის მასალებს ღებულობთ საკდესიდან და რა პრინციპებით არჩევთ მასალას გაზეთ „წინსვლისათვის“, რომელიც, რა დასამალია და, კარგა ხანია უსახურობის სინდრომითაა დაავადებული...

და ბოლოს მინდა თქვენ და გაზეთის მრავალრიცხოვან მკითხველებს მოვმართოთ მოკრძალებული შეკითხვით: მას შემდეგ, რაც თვით კრემლის დონეზეც აღიარეს, რომ 72 წლის მანძილზე სულ უკან-უკან გვივლია, რბილად რომ ვთქვათ, ცოტა უხერხულად და სასაცილოდ ხომ არ ჟღერს გაზეთის ძველმოდური სახელი „წინსვლა“?

საყოველთაო განახლებისა და გარდაქმნის პროცესში, ვფიქრობ, უპრიანი იქნებოდა გამოგვეცხადებინა ღია კონკურსი ჩვენი რაიონის გაზეთისათვის თანამედროვეობის შესაფერი სახელწოდების მოსაძებნად, რომელსაც თავზე არ დავასკუპებდით ისეთ დრომოჭმულ ანაქრონიზმს, როგორიცაა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

მე პირადად გაზეთს „სამტრედიის“ დავარქმევდი, ხოლო დევიზად „პროლეტარიატის...“ ნაცვლად წავუმძღვარებდი — „ჰე მამულო, გრძნობა შენი მოვლისა!“, რის შემდეგაც, ბუნებრივია, გაზეთის ფორმა და შინაარსიც უფრო მიზანმიმართულად გამოიკვეთებოდა.

საინტერესოა რას იტყვიან თვით გაზეთ „წინსვლის“ პატივცემული მკითხველები?

იმედია, ჩემს წერილსა და მათ მოსაზრებებსაც დაუყოვნებლივ და „შეულამაზებლად“ გამოაქვეყნებთ თქვენს პასუხთან ერთად.

პატივისცემით

**ამირან კალაძე.**
**7. XII. 89.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატივცემულო რედაქცია!

**პატივცემულო რედაქციავ, ამასწინათ დავესწარი საქართველოს ავღანეთის ვეტერანთა კავშირის დამფუძნებელ კონფერენციას, რომელმაც დემოკრატიულობისა და საჯაროობის პრინციპების უხეში დარღვევით ჩაიარა. მსურს ჩემი მოსაზრება გავაცნო საზოგადოებას თქვენი გაზეთის მეშვეობით.**

**პატივისცემით, ქ. რუსთავის ავღანეთის ვეტერანთა ასოციაციის პრეზიდენტი მიხეილ გელაშვილი.**

დღეს უკვე ყველასათვის კარგადაა ცნობილი, როგორ ხდება სხვადასხვა ოფიციალური სხდომებისა თუ არჩევნების ჩატარება და ვილაცისათვის სასურველი გადაწყვეტილებების მიღება, გადაწყვეტილებები „აბსოლუტურად მორჩილი უმრავლესობის“ მიერ საღი აზრის საწინააღმდეგოდ. ამის მაგალითი ბევრჯერ იყო უმაღლესი საბჭოს ყრილობასა თუ სესიაზე (კიდევ რამდენჯერ იქნება?!) და კიდევ — თუ გინახავთ ადამიანი (ან ადამიანთა ჯგუფი), რომელიც საკუთარი ნებასურვილით ყოფდეს ხაფანგში თავს?! თანაც როგორ ხაფანგში?! თქვენი არ ვიცი და მე კი ამის მოწმე გავხდი.

ამასწინათ. კომისარიატიდან დამირეკეს — რესპუბლიკის კომისარიატიდან დეპეშა მივიღეთ და მას სასწრაფოდ უნდა გაეცნოო. მეც გამოვცხადდი და გავეცანი შემდეგი შინაარსის დეპეშას: „კომისარიატებმა კომკავშირთან ერთად სასწრაფოდ ჩაატარონ ავღანეთში ნამსახური ბიჭების შეკრება, რათა აირჩიონ დელეგატები რესპუბლიკურ შეკრებაზე, რომელიც გაიმართება თბილისში, 3 მარტს“. ისევ ძველი სტილი, ისევ სიჩქარე, რადგან დეპეშას 28 თებერვალს გავეცანი. როგორც შემდეგ დავრწმუნდი, ეს აჩქარება ვილაცას სტრატეგიული მიზნისათვის სჭირდებოდა.

შეკრებაზე გავესაუბრე რაიონიდან ჩამოსულ ბიჭებს, ვთხოვე აზრი გამოეთქვათ წესდების პროექტის შესახებ, რომელიც იქვე დაგვირიგეს. ბიჭების უმრავლესობამ ერთხმად აღნიშნა, რომ წესდების პროექტის წაკითხვა ბოლომდე ვერც მოასწრო, და რომც მოგვესწრო მისი წაკითხვა, მისი გაგება და გაანალიზება გაგვიჭირდებოდა, რადგან დრო იყო საკმაოდ მცირე.

მინდა საკუთარი შეხედულება გაგაცნოთ წესდების შესახებ:

პროექტის პირველივე მუხლებიდან იგრძნობა, რომ იგი შედგენილია პარტიული ფუნქციონერის მიერ. ამასთან, არის შეუსაბამობა მუხლებს შორის, ზედაპირულად არის ნახსენები „ავღანელების“ (მეც ამ პრინციპში შეუსაბამო სიტყვას ვიხმარ) ადგილის შესახებ ეროვნულ მოძრაობაში. მომავალი კავშირი ძალიან ჰგავს ცენტრალიზებულ ბიუროკრატიულ ორგანიზაციას.

აი ერთი-ორი მაგალითი: პროექტის პირველი მუხლის მეშვიდე პუნქტში აღნიშნულია: „...კავშირი გამოდის ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პოზიციიდან, საჭიროების შემთხვევაში აწყობს ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქციებს, მოუწოდებს საზოგადოებას ნებისმიერი ძალადობის აღკვეთისაკენ“... ერთი შეხედვით, ეს პუნქტი კარგად არის ფორმულირებული, მაგრამ, ჩემი აზრით, იგი ორაზროვანია, და აი რატომ — ვისაც როგორც უნდა ისე განმარტავს და ისე გამოიყენებს ამ ფორმულირებებს, გააჩნია ვის რა მიაჩნია ძალადობად, ვინ ჩაიგდებს ხელში ორგანიზაციის სადავეებს. ეს კი კარგად ჩანს მე-14 და მე-17 მუხლებიდან.

კერძოდ მე-14 მუხლის მეორე პუნქტში ნათქვამია: „... იგი (დამფუძნებლების საბჭო) შედგება კავშირის დამფუძნებელი ორგანიზაციების უფლებამოსილი წარმომადგენლებისაგან და ყოველწლიური ერთჯერადი შესატანებით ქმნის კავშირის საწესდებო ფონდს“; და მე-17 მუხლის მეორე პუნქტი: „...გამგეობის შემადგენლობაში (კავშირის გამგეობა) შეიძლება შეყვანილ იქნენ იმ სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ კავშირის ფინანსური საშუალებების ფორმირებასა და საქმიანობაში“. ერთი სიტყვით, ნათელი ხდება თუ ვის ექნება ორგანიზაციის მართვის სადავეები ხელში — იმათ, ვინც კავშირისათვის ფულსა და სახსრებს გაიღებს. ფულსა და სახსრებს გაიღებს კავშირის დამფუძნებელი, ხოლო მათ დამფუძნებლებად გამოდიან ისეთი სოლიდური ორგანიზაციები და სამინისტროები, როგორიცაა შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, დოსაავი და სხვა. აქ არ შეიძლება უნებლიედ არ გაგვახსენდეს ერთი ხალხური ანდაზა — „ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს“ — ჭეშმარიტად!!!

მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში წერია: „...ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით ზრდის კავშირის წევრებსა და ახალგაზრდობას, ეხმარება ახალგაზრდობას იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი შეგნების ჩამოყალიბებაში...“ ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით ზრდა, ეს ძალიან კარგი და საშური საქმეა, მაგრამ საინტერესოა, მაინც რომელ იდეოლოგიაზე დგას კავშირი და როგორი ზნეობრივი შეგნების ჩამოყალიბებაში შეუწყობს იგი ხელს ახალგაზრდობას? იდეურ-პოლიტიკური პლატფორმა აქამდე გვქონდა, მაგრამ რა პრინციპებზე იყო ის დაფუძნებული და რა შედეგებამდეც მიგვიყვანა მან ყველას მოგეხსენებათ. კავშირის წესდება და დასაწყისშივე მისი ჩამოყალიბების ფორმა უკეთესის იმედს ნამდვილად არ იძლევა.

მე-4 მუხლში, რომელიც კავშირის სტრუქტურას წარმოადგენს, აღნიშნულია: „კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებს წარმოადგენენ: — კავშირის კონფერენცია; დამფუძნებელთა საბჭო; — კავშირის გამგეობა, პრეზიდიუმი; საკონტროლო-სარევიზიო კომისია“. რა არის ეს, თუ არა ბიუროკრატიული აპარატი გაბერილი შტატებით და თავისი სტრუქტურული ერთეულებით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სპეციალურად არის შექმნილი ამდენი სტრუქტურული რგოლი, რათა კავშირი ოპერატიულობას და მოქნილობას იყოს მოკლებული. გარდა ამისა, ყველა ამ რგოლში დასაქმებული ადამიანი ხელფასს მიიღებს საწესდებო ფონდიდან. საწესდებო ფონდი დამფუძნებელთა ფულით იქმნება, დამფუძნებლებს კი ფული ბიუჯეტიდან გამოეყოფათ. ისმება კითხვა, გამართლებულია კი ჩვენს დღევანდელ პირობებში ფულის ასე ფლანგვა და კიდევ ერთი ბიუროკრატული სტრუქტურული ერთეულის შექმნა, როცა ჩვენ ბიუროკრატიას ვებრძვით და მისი შემცირება გვსურს, ხოლო ბიუჯეტში კოლოსალური გარღვევა გვაქვს?!

მე-6 მუხლის მე-6 პუნქტში, რომელიც კავშირის ტერიტორიულ ორგანიზაციებს ეხება, აღნიშნულია: „...თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობენ წინამდებარე წესდებითა და კავშირის გამგეობის მიერ ტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ დამტკიცებული ინსტრუქციებისა და მითითებების შესაბამისად“. ე. ი. არავითარი უფლებები არ გააჩნია ტერიტორიულ ორგანიზაციებს, არავითარი, რადგან ისინი ხელ-ფეხ შეკრულნი იქნებიან გამგეობის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციებითა და მითითებებით; არავითარი თავისუფლება, არავითარი ინიციატივა, არავითარი ავტონომიურობა. თუ სადამდე მიიყვანა ზემოდან დაშვებულმა ინსტრუქციებმა და მითითებებმა ამ 70 წლის მანძილზე ჩვენი სახელმწიფო, ყველას კარგად მოეხსენება და ამ თემაზე ლაპარაკი ზედმეტადაც კი მიმაჩნია. ბატონ ვალერიან ადვაძის თქმისა არ იყოს, ცენტრის მიერ შემოთავაზებულია გალია, რომელშიც შეამწყვდევენ ტერიტორიულ ორგანიზაციას (ჩვენს მაგალითზე) „თავისუფლად“ მოღვაწეობისათვის, რომელსაც მას შეუქმნის ცენტრი. მაგრამ, როგორც ამბობენ, პრობლემების ეფექტიანად გადაწყვეტა თავისუფალთა ხვედრია. მე მგონი, ეს ის მუხლია, რომელიც ლახავს ყველა ადამიანის პატივმოყვარეობას და ეჭვი მეპარება, რომ ამ ხაფანგში საღად მოაზროვნე ადამიანმა თავისი ნებით გაყოს თავი.

ბევრ რამეზე შეიძლება ლაპარაკი, ყველაფერს ვერ დაწერ. ფაქტია, რომ წესდება დასახვეწია. პრინციპულად შესასწორებელი. ამას სხვებიც აღიარებენ. თვითონ მოსკოვიდან მოვლენილმა (დამოუკიდებლად ხომ ჩვენ არაფრის გაკეთების უფლება არ გვაქვს!) ამხანაგმაც აღნიშნა, რომ მის შექმნაზე მუშაობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს იურისტები. ჩვენც სწორედ ეს გვაღელვებს და გვაფიქრებს, რომ სხვები მუშაობდნენ ჩვენს წესდებაზე და არა ჩვენ; ამიტომ, მიმაჩნია, რომ თუ ამ წესდებით შეიქმნება ვეტერანთა კავშირი იგი, არ არის გამორიცხული, რომ დაუპირისპირდეს ეროვნულ მოძრაობას და შესაძლოა ბიუროკრატიის მოსამსახურედაც იქცეს. მე მგონია, რომ არის იმის მცდელობა, „ავღანელების“ საქმიანობა წარმართონ სულ სხვა მიმართულებით და აარიდონ ის ეროვნულ მოძრაობას და ბოლოს — რატომ ცდილობენ ასე დაბეჯითებით „დამფუძნებლები“ საქართველოს „ავღანეთის“ ვეტერანთა კავშირის შექმნას. თითქოს ეს ინიციატივა თვითონ „ავღანელებისაგან“ უნდა მომდინარეობდეს, ქვემოდან, და არა მათგან? პირიქით კი ხდება.

რუსთავის ავღანეთის ვეტერანთა ასოციაციამ და კიდევ სხვებმაც პროტესტის ნიშნად დასტოვეს დამფუძნებელი კონფერენცია. მხარი დაგვიჭირეს მარნეულისა და გარდაბნის წარმომადგენლებმა და (მათაც დასტოვეს კონფერენცია) რაოდენ სამწუხაროა, რომ იქვე მსხდომმა ქართველებმა ხმა მისცეს კავშირის წესდების პროექტს ამ კავშირშიც ხომ არ ყალიბდება აგრესიულად მორჩილთა უმრავლესობა?!

**მიხეილ გელაშვილი,**
**თსუ იურიდიული ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი, ქ. რუსთავის ავღანეთის ვეტერანთა ასოციაციის პრეზიდენტი.**

**რედაქციისაგან: ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა როლს შეასრულებს ავღანეთის ომის ვეტერანთა კავშირი (ფორმულირება ჩვენია), დღეს-დღეობით შესაძლოა ადრე იყოს, მაგრამ ცნობილია, რომ როგორ სანწყისსაც დაუდებ, მომავალში შედეგებსაც ისეთს მიიღებ.**

**აქ, კი როგორც ჩანს, მართლაც დაშვებულია შეცდომები. არ ვიცით, ეს აჩქარებით აუხსნით თუ სხვა მიზეზით, მაგრამ ერთი რამ ცხადია —კვამლის სუნი აშკარაა, ე. ი. შეიძლება ხადლაც ცეცხლიც ენთოს. სიფრთხილეს კი თავი არ სტკივა.**

# განა ეს მორალია?!

ალბათ ძნელია ვინმე გააკვირვოს გაზეთმა „კრასნაია ზვეზდამ“ ანტიქართული გამოხტომებით. მაგრამ მიმდინარე წლის 8 აპრილის ნომერში დაბეჭდილმა მარშალ ს. ახრომეევის ვრცელმა წერილმა „თავდასხმები სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებზე. რატომ?“ შეუძლებელია არ აღაშფოთოს თითოეული, ვისთვისაც ყველაზე მეტად ფასობს ამ ქვეყნად სინდისი, პატიოსნება, ზნეობა, მორალი, თავისი ქვეყნის, ხალხის, ერის სიყვარული, ერთი სიტყვით რომ გამოვხატოთ ადამიანობა.

წერილს ქვესათაური აქვს: „მეორე ღია წერილი ჟურნალ „ოგონიოკის“ მთავარ რედაქტორს ვ. ა. კოროტიჩს“. ალბათ მთავარი რედაქტორი უფრო ღირსეულად მოიგერიებს ახრომეევისეულ თავდასხმებს, ვიდრე წერილის ავტორი ცდილობს სამარცხვინო სისხლიანი ლაქები ჩამორეცხოს შეიარაღებული ძალების მუნდირს. ამიტომ ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ იმაზე, რაც ქართველი ერის წინააღმდეგ კიდევ ერთ უტიფარ გამოლაშქრებას წარმოადგენს.

თუმცა მარშალ ახრომეევისაგან სხვა არც იყო მოსალოდნელი. იგი ხომ ერთი იმათგანია, ვინც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე მქუხარე ტაშით დაუჭირა მხარი ჯერ გენერალ როდიონოვს, ხოლო შემდეგ სამხედრო პროკურორ კატუსევის საქართველოსათვის შეურაცხმყოფელ, ცილისმწამებლურ გამოსვლებს. კაცმა რომ თქვას, ახრომეევს არაფერი დაუწერია იმისაგან განსხვავებით, რაც გამოხატა თავის გამოსვლებში დეპუტატთა ყრილობებსა თუ უზენაესი საბჭოს სესიებზე.

მარშლისათვის არაფერს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის საქართველოში, შეიარაღებულ ძალთა წარმომადგენლების მიერ დაღვრილი უდანაშაულო ადამიანთა სისხლი, არად ჩააგდოს და ურცხვად განაცხადოს: „არმია და ფლოტი იცავს სახელმწიფოსა და თავის ხალხს... დღეს შინაგან ჯარების მებრძოლებს, მათთან ერთად მედესანტეებს, სახმელეთო ჯარებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების ნაწილებს დააწვათ მძიმე ტვირთი უზრუნველყონ წესრიგი იმ რაიონებში, სადაც იფეთქა ეროვნებათაშორის რბევამ და დაიღვარა სისხლი. სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობას იღებენ ამ კონფლიქტების ლიკვიდაციაში სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ხელისუფლების უზენაესი გადაწყვეტილებებით“.

ახრომეევი ცდილობს 1989 წლის 9 აპრილთან დაკავშირებული მოვლენებიც წარმოადგინოს როგორც ეროვნებათაშორისო რბევა, ბანდიტიზმი, სეპარატული ძალმომრეობა, ხულიგნობა, არაქართველთა დამცირება და დისკრიმინაცია, საბჭოთა შეიარაღებულ ძალებზე თავდასხმა. და რა გასაკვირია ამ დანაშაულობათა წინააღმდეგ არმიას იარაღი გამოეყენებინოს. „განა არმია და მისი ხელმძღვანელები არიან დამნაშავენი, — კითხულობს ახრომეევი, — რომ ისინი იძულებულნი არიან იმოქმედონ, უზრუნველყონ წესრიგი იქ, სადაც იგი დარღვეულია სეპარატისტების მიერ ძალმომრეობით?“. ახრომეევისათვის არაფერს წარმოადგენს სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ შექმნილი კომისიის (რომლის შექმნასაც, როგორც დეპუტატმა, თვითონაც მისცა ხმა) დასკვნებში, რომლებიც მეტყველებენ, რომ არც თბილისში და არც მთლიანად საქართველოში არავითარ სეპარატისტულ ძალმომრეობას, არმიაზე თავდასხმას, არაქართველთა დისკრიმინაციას, ხულიგნობას, ბანდიტიზმს და სხვა მსგავს მოვლენებს ადგილი არ ჰქონია და არმიის მიერ უდანაშაულო ადამიანთა მკვლელობა, დასახიჩრება უმძიმეს დანაშაულს წარმოადგენს. ახრომეევი ყოველმხრივ ცდილობს მკითხველს შავი თეთრად მოაჩვენოს, გაამართლოს, დაიცვას, ანგელოზებად წარმოადგინოს ნამდვილი დამნაშავენი: იგი „სალდაფონური“ რიხით კითხულობს: „სინამდვილეში რა ხდებოდა თბილისში? ვინ აგებს პასუხს მიტინგის აღსაკვეთად მიღებულ გადაწყვეტილებაზე? როგორი იყო ამ გადაწყვეტილებათა მოტივი?“ — ამ კითხვებზე პასუხი თვით წერილშია გაცემული, როდესაც მარშალი არ ეთანხმება ჟურნალ „ოგონიოკს“ ბაქოსა და თბილისის მოვლენებში არმიის როლის შეფასებაში, რადგანაც ჟურნალი არაფერს ამბობს იმ ხულიგნებზე, მოძალადეებსა და ბანდიტებზე, რომლებიც ხოცავენ მშვიდობიან ადამიანებს (აი თურმე ვის დაუხოცია მშვიდობიანი მომიტინგენი და მანიფესტანტები). სამაგიეროდ, როგორც ახრომეევი წერს, ჟურნალს „მოეძებნება სიტყვები და სათანადო ფოტოგრაფიები, რომლებიც ამტყუნებენ შინაგან ჯარებსა და არმიის ნაწილებს, რომლებიც ქვეყნისა და რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესაბამისად მოქმედებდნენ წესრიგის უზრუნველყოფისათვის“.

მაშ რას ვერჩით გენერალ როდიონოვს, რომელიც თურმე მოძალადეებისაგან, ბანდიტებისაგან, ხულიგნებისაგან მშვიდობიანი მოსახლეობისა და წესრიგის დაცვის გმირი ყოფილა. ამის შემდეგ როგორ შეეძლო ახრომეევს დასთანხმებოდა თბილისის მოვლენებში არმიის როლის „ოგონიოკისეულ“ შეფასებას. გენერალმა როდიონოვმა, ისევე როგორც ნებისმიერმა სამხედრო მოსამსახურემ, აღნიშნავს ახრომეევი, მიიღო ფიცი შეასრულოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი და ბრძანებები. ჰოდა, ჰქონდა მორალური უფლება გენერალ როდიონოვს არ შეესრულებინა 9 აპრილის მიტინგის აღკვეთის შესახებ „რესპუბლიკისა და საკავშირო ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებანი“, „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებანი“, რაც თურმე როდიონოვს „ხელთ ჰქონდა?!“ — კარგი იყო ს. ახრომეევს არა მარტო მკითხველისათვის, არამედ 9 აპრილის ტრაგედიის გამომკვლევი კომისიისათვის გაეცნო ხელისუფლების რომელმა უზენაესმა ორგანოებმა მიიღეს გადაწყვეტილება სამხედრო მოსამსახურეთა მიერ 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მშვიდობიანი მანიფესტანტებისა და მომიტინგეთა დახოცვის შესახებ. ახრომეევის მტკიცებით არსებულა არა სიტყვიერი მითითებანი, არამედ ოფიციალური გადაწყვეტილებანი, რასაც ტრაგედიის გამომკვლევმა კომისიამ ვერ მიაგნო, რაკი მორალურ უფლებებზე წერს მარშალი, იქნებ იგივე მოხრილმა უკარნახოს დაეხმაროს გამოძიებას, და მიანდოს ეს დოკუმენტები! თუ ამის ნებას არ აძლევს, როგორც სამხედრო მოსამსახურეს, მიღებული ფიცი?!

მაგრამ რა მორალზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც „კრასნაია ზვეზდა“ თბილისის შარშანდელი აპრილის ტრაგედიის წლისთავის წინა დღეს თავის ფურცლებს უთმობს ასეთ წერილს, რომლის ავტორს თანაგრძნობის ერთი სიტყვაც არ დასცდენია იმ ვანდალური რბევის დროს უდანაშაულოდ დაღუპულთა და დასახიჩრებულთა ჭირისუფლების, მთელი ქართველი ერის მიმართ. სამაგიეროდ ცდილობს გაამართლოს, ლამის გმირებად წარმოაჩინოს რბევის ორგანიზატორები და უშუალო აღმასრულებლები. ყოველივე ამის შემდეგ განა გასაკვირია, რომ მათ ჟურნალი „ოგონიოკი“ „შინაურ მილიტარისტებს“ (Домашних милитаристов») უწოდებს, რასაც ასე აღუშფოთებია მარშალი ახრომეევი. განა, რბილად რომ ვთქვათ, ხალხის გრძნობების დაცინვად არ გაისმის მარშალის სიტყვები, რომ „არმია იყო, არის და იქნება ვაჟკაცობისა და წვრთნის სკოლა. ამაში ჩვენი ხალხი დარწმუნებულია“.

ვიდრე არმიას ჰყავს ისეთი გენერლები და მარშლები, როგორებიც არიან როდიონოვი და ახრომეევი, საბჭოთა არმია ვერასოდეს იქნება ისეთი, როგორადაც ახრომეევს სურს წარმოგვიდგინოს.

**ჯონდო ბაგრინდაშვილი,**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლეონარდოს ქვეყანაში

**თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული ქეთევან გაგოშიძე ქანდაკების კათედრის უფროსი მასწავლებელია. საკავშირო კონკურსში მან ოქროს მედალი, I ხარისხის დიპლომი და იტალიაში სტაჟირების უფლება მოიპოვა. ერთი წლის მანძილზე მოქანდაკე ეზიარა იტალიის თანამედროვე ხელოვნებას, გაეცნო იტალიის წამყვან მოქანდაკეებსა და მათ შემოქმედებას. არდადეგებზე ქეთინო ხანმოკლე დროით იმყოფებოდა სამშობლოში. ვისარგებლეთ შემთხვევით და ვთხოვეთ გაეზიარებინა იტალიური შთაბეჭდილებები.**



**— ქეთინო, პირველად ენობრივ ბარიერზე შეგეკითხებით.**

— იტალიისთვის გულდასმით ვემზადებოდი, ენაც შევისწავლე. პერუჯის უნივერსიტეტში კი, რომელიც იტალიური ენის შესასწავლად უცხოელებისათვის არის განკუთვნილი, ვმუშაობდი ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პერუჯაში ყოფნის დროს გავეცანი პერუჯის კერძო სამხატვრო აკადემიას და მისი სწავლების მეთოდს.

**— რომელ ქალაქში გადიხართ სტაჟირებას და ვინ არის თქვენი უშუალო მასპინძელი?**

— რომის სამხატვრო აკადემიაში, სადაც ქანდაკების ორი კათედრაა: თანამედროვე ქანდაკების სწავლების კათედრა, რომლის ხელმძღვანელია ალფიო მონჯელი და ფიგურატიული ხელოვნების კათედრა, რომელსაც სათავეში უდგას ჰელენა მოლე. მოხდა ისე, რომ ჩემი ხელმძღვანელობის სურვილი ორივემ გამოთქვა.

**— რატომ?**

— როგორც მითხრეს, მე პირველი მოქანდაკე ვიყავი სოციალისტური ქვეყნებიდან, ვინც სტაჟირებაზე იმყოფებოდა რომის აკადემიაში და, შესაძლოა განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ამან გამოიწვია.

**— გქონდათ თუ არა წინასწარ დასახული ამოცანა და ხომ არ შეიცვალა იგი იტალიაში ყოფნისას?**

— ჩემი ძირითადი მიზანი იყო და არის იტალიის სამხატვრო აკადემიებში ქანდაკების სწავლების მეთოდიკის შესწავლა და იტალიის თანამედროვე წამყვანი მოქანდაკეების შემოქმედების გაცნობა. ამასთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ მომიხდა ამ მიზნის განხორციელების უფლების მოპოვება. საქმე ისაა, რომ ვინაიდან სტაჟირებას საფუძვლად დაედო დიპლომანტთა საკავშირო კონკურსში გამარჯვება, იტალიაში ჩემი ყოფნა შემოიფარგლა. რომის აკადემიაში სწავლის გაგრძელებით იმ სტუდენტებთან ერთად, რომლებიც იმყოფებოდნენ სტაჟირებაზე. როგორც სამხატვრო აკადემიის პედაგოგმა, გამოვთქვი მეთოდიკის გაცნობის სურვილი. მაშინ წამომიყენეს პირობა — უნდა შემესრულებინა გარკვეული მოცემულობა ორივე კათედრაზე. თანამედროვე ქანდაკების სწავლების კათედრაზე შევასრულე ნახატი, რომელიც მიზნად ისახავდა ფორმის მოდელირების სტრუქტურულად გადმოცემას. აღსანიშნავია, რომ ამ კათედრაზე სწავლება მიმდინარეობს მისი ხელმძღვანელის, ბატონ ალფიო მონჯელის მეთოდით.

**— თუ შეიძლება, რამდენიმე სიტყვით გვიამბეთ ამ მეთოდის შესახებ.**

— მოქანდაკემ პროექტირების დროს უნდა წარმოადგინოს არა მხოლოდ ქანდაკების მაკეტი, არამედ გარემოსიც, იქნება ეს ინტერიერი თუ ექსტერიერი, და უსათუოდ ფერადოვანი გამის გათვალისწინებით. ამ დროს ფერითი აქცენტი საკმაოდ მკვეთრია ისე, რომ ფორმა და ფერი ერთნაირ როლს თამაშობს სივრცის შევსებაში. რადგან პროექტირების დროს გარემოცაა გათვალისწინებული, ქანდაკების ავტორი არქიტექტორის ფუნქციასაც ასრულებს. ალფიო მონჯელი ვიტერბოს აკადემიის (კერძო აკადემიაა) პროფესორიცაა, სადაც ჰყავს 7 სტუდენტი. მისი მეთოდის ხორცშესხმა სრულყოფილი სახით სწორედ ამ კერძო აკადემიაში ვიხილე, ვინაიდან აქ შესაძლებლობა მეტია, ვიდრე რომის აკადემიაში, სადაც მუშაობა უხდება 65 სტუდენტთან ერთი ასისტენტის დახმარებით.

გავეცანი არა მხოლოდ ალფიო მონჯელის მეთოდს, არამედ შემოქმედებასაც. გახლდით მის სახელოსნოში. მიმაჩნია, რომ თანამედროვე იტალიური ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. ვთვლი, რომ მან თავისი ხელოვნებით ძეგლი დაუდგა ისეთ მეცნიერებებს, როგორიცაა მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია.

**— გამოდის, რომ მონჯელი ამ თვალსაზრისით, ტრადიციული იტალიური სკოლის ტიპიური წარმომადგენელია.**

— უთუოდ. ეს მეთოდი არის წლების მანძილზე ნაფიქრალის შედეგი. ამავე დროს, იგი საწინდარია იმისა, რომ ძირითადის შენარჩუნებით მას მრავალი ახალი ნიუანსი დაემატება. ბატონ ალფიოს შევთავაზე მოცემულობის შესრულება ჩემი საკუთარი ინტერპრეტაციით. ნახატი მოეწონა. ამით მოვიპოვე უფლება პირველი (პირობითად ასე ვუწოდოთ) მეთოდის სწავლისა. რაც შეეხება მეორე, ანუ ფიგურატიული ხელოვნების კათედრას, მისი გამგეა დოცენტი, ქალბატონი ჰელენა მოლე, პროფესიით ადვოკატი.

რახან შესაძლებლობა მომეცა, სიამოვნებით გიამბობთ ქალბატონ ჰელენას პიროვნებაზე: იგი იყო მონტელიონისა და ემილიო გრეკოს ასისტენტი რომში. ეს ის სახელებია, რომლითაც ჩვენ წარმოდგენა გვქონდა თანამედროვე იტალიურ ხელოვნებაზე. ჩვენთვის ისინი დღესაც ეტალონები არიან, თუმცა მონტელიონი 20 წლის წინ გარდაიცვალა, ემილიო გრეკო კი საკმაოდ ხანდაზმულია. იტალიაში მათ შემოქმედებას მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ხელოვნებას მიაკუთვნებენ (ასე რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ მე-20 საუკუნის იტალიურ ხელოვნებას არ ვიცნობთ).

ქალბატონი ჰელენა ამავე დროს პალერმოს სამხატვრო აკადემიის ქანდაკების კათედრის გამგეც იყო, თუმცა იტალიის არცერთ სამხატვრო აკადემიაში არ უსწავლია. დაამთავრა რომის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და იქვე ასპირანტურა, ორივე წარჩინებით. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის კარიერა წარმატებით დაიწყო, მალე თავი დაანება იურისპრუდენციას და მონტელიონის სახელოსნოს მიაშურა შეგირდად. დამეთანხმებით, გაბედული ნაბიჯია, რომელიც არცერთი წუთით არ უნანია. ამას მოჰყვა პირველი პერსონალური გამოფენა რომში, რომელზეც ქანდაკებით წარსდგა (გამოფენა გახსნა ემილიო გრეკომ), მილანში პერსონალური ფერწერული გამოფენა, რომელიც რენატო გუტუზომ გახსნა და დიდი შეფასება მისცა მის შემოქმედებას. ქ-ნმა ჰელენამ მიამბო იმ დიდი სურვილის შესახებ, რომელიც მას გააჩნდა რენატო გუტუზოსთან მუშაობის თაობაზე: „მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, ოციოდე წლის, როცა გუტუზომ შემომთავაზა მის სახელოსნოში მუშაობა. ჩემთვის გუტუზო იყო უძლიერესი პიროვნება, ულამაზესი მამაკაცი და მე შიშმა ამიტანა. მასთან მისულს შემეძლო ფიანდაზად დავგებოდი და მაშინ ჩემი შემოქმედებითი გზა სხვაგვარად წარიმართებოდა“... საბედნიეროდ, ქ-ნმა ჰელენამ საკუთარი გზა აირჩია. მისი შემოქმედების დასახასიათებლად ავტორიტეტული პიროვნების სიტყვებს მოვიშველიებ — აი რას წერს ემილიო გრეკო: „ვფიქრობ თქვენს შესანიშნავ ნახატებზე, რომლებიც თქვენს სახელოსნოში ვნახე. მახსოვს თქვენი კარგად აგებული ნახატი, პლასტიკური ღირსებებით აღსავსე, ზოგჯერ კი მთრთოლვარე და მასში ვპოულობ თქვენი ადამიანურობის აბსოლუტურ გამოძახილს“...

ვერასოდეს დავივიწყებ აი, რას: 9 აპრილის ტრაგედიის მეორე დღესვე იტალიის თითქმის ყველა გაზეთში იყო ზუსტი ინფორმაცია თბილისში მომხდარი ამბების შესახებ. როცა აკადემიაში შევედი ქალბატონი ჰელენა ფეხზე წამოდგა, მის თვალებში თანაგრძნობა ამოვიკითხე. მან მომისამძიმრა. იმ დღეს მარტო არ დავუტოვებივარ არცერთი წუთით. მთელმა მისმა ოჯახმა სითბო და ყურადღება არ მომაკლო. ჰელენა მოლემ ჩემი ტკივილი გაითავისა არა როგორც მხოლოდ ჩემი სატკივარი, არამედ როგორც კაცობრიობის წინაშე ჩადენილი საშინელი დანაშაული.

**— ჰელენა მოლეს მეთოდზე გვიამბეთ.**

— ჰელენა თავის სტუდენტებს უქმნის დიდ შესაძლებლობებს და ანიჭებს საკმაო თავისუფლებას. მისი აზრით, მომავალმა მოქანდაკემ თავად უნდა მოუძებნოს გასაღები მოცემულობის პლასტიკურ ხორცშესხმას. იგი ავალდებულებს თავის მოწაფეებს, გარდა საპროგრამო ნამუშევრებისა, მონაწილეობა მიიღონ სტუდენტთა საერთაშორისო კონკურსებში, სადაც წარმოდგენილი პროექტებიც უნდა განხორციელდეს. ამდენად, მომავალი პროფესიონალი სტუდენტობის წლებშივე გამოიმუშავებს გარემოს აღქმის უნარს. საგულისხმოა, რომ ამ კათედრის მეთოდიც ითვალისწინებს არქიტექტორის ფუნქციის შერწყმას შემოქმედებით პროცესში.

**— რა შეგძინათ იტალიამ?**

— იტალიაში ფუნქციონირებს 19 აკადემია, რომელთაგან 3 კერძოა. მე გახლდით რომის, პერუჯის, ფროზინონეს, ვიტერბოს, ლაკვილას, მილანის სახელმწიფო და კერძო, ნეაპოლის და პალერმოს სამხატვრო აკადემიებში. თითოეულ მათგანს სწავლების საკუთარი მეთოდიკა და საკუთარი სკოლა აქვს. უფრო მეტიც, ორი პროფესორია, ე. ი. ორი სკოლაა. გამიკვირდა, როგორ ახერხებენ ამას, როცა სასწავლო პროგრამა ყველას ერთი აქვს, კულტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებული. მათ მიპასუხეს: კონსტიტუციაში გვიწერია: მასწავლებელი არის თავისუფალი და ჩვენ ამ უფლებას მაქსიმალურად ვიყენებთო.

თუკი მასწავლებელს აქვს აბსოლუტური თავისუფლება, სტუდენტსაც უფლება აქვს სურვილისამებრ ეზიაროს იტალიის ნებისმიერი აკადემიის ნებისმიერი პროფესორის ხელოვნებას, მაგ. ერთი წელი მილანში, მეორე — კარარაში, მესამე — ფლორენციაში და ა. შ.

**— თქვენ რით „გააკვირვეთ“ იტალიელები?**

— სხვათა შორის, მათ გაკვირვებას მართლაც არ ჰქონდა საზღვარი, როცა წავიკითხე ინფორმაციის ხასიათის ლექციები ქართული ხელოვნებისა და თბილისის სამხატვრო აკადემიის სწავლების ძირითადი პრინციპების შესახებ ფერადი სლაიდების ჩვენებით, მათ მოეწონათ ის, რომ ჩვენთან სწავლება მიმდინარეობს უფრო ხანგრძლივად და ისიც, რომ დიპლომების დაცვა ხდება სპეციალობების მიხედვით. მათთან სწავლების ვადა 4 წელია, კვირაში სამი დღე. ეს ძალზე ცოტაა და ხშირადაც გამხდარა პედაგოგთა სერიოზული დებატების საბაბი. გარდა ამისა, იქ დიპლომის დაცვა ხდება თეორიული ნამუშევრების საფუძველზე განურჩევლად ყველა სპეციალობის სტუდენტთათვის.

განსაკუთრებული დაინტერესება გამოიჩინა ჩვენი სტუდენტების ნამუშევრების მიმართ იტალიის კულტურის სამინისტროსთან არსებულმა საერთაშორისო ასოციაციის „სიბელიუს 2000“ პრეზიდენტმა სერჯო დელ უნტომ, რომელმაც შემოგვთავაზა გამოფენის მოწყობა რომში. მოსაგვარებელია ორგანიზაციული საკითხები. მინდა გაუწყოთ, რომ ქართული ხატ-წერის ფილოსოფიურ-ესთეტიური ასპექტით დაინტერესდნენ იტალიელი ფერმწერები.

**— ქეთინო, უკანასკნელ პერიოდში გაჩნდა საზღვარგარეთელ პარტნიორებთან პირდაპირი კონტაქტების დიდი პერსპექტივები. როგორ გესახებათ საქართველო-იტალიის სამხატვრო სასწავლო დაწესებულებათა მომავალი ურთიერთთანამშრომლობა?**

— ამ თანამშრომლობის პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. მას შემდეგ, რაც პალერმოს სამხატვრო აკადემიას გავაცანი თბილისის სამხატვრო აკადემიის საქმიანობა (წავიკითხე ლექციების კურსი სტუდენტთა ნამუშევრების ჩვენებით), დაიბადა აზრი ამ ორი აკადემიის და პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაცვლის შესახებ. გამომატანეს პალერმოს ნატიფ ხელოვნებათა აკადემიის რექტორის, ბატონ ტოტო ბონანოს წერილი კულტურული თანამშრომლობის თაობაზე. თბილისის სახელმწიფო აკადემიის რექტორატმა, კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, თანხმობის დამადასტურებელი საპასუხო წერილი გაუგზავნა. ანალოგიურ შეთანხმებას ჩაეყარა საფუძველი ესპანეთის ქალაქ სალამანკას უნივერსიტეტის ნატიფ ხელოვნებათა ფაკულტეტთან.

გამოვთქვამ იმედს, რომ მომავალში ეს კონტაქტები უფრო გაღრმავდება და დაიხვეწება, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს ახალგაზრდა შემოქმედებითი კადრების პროფესიონალიზმის ამაღლებას და მათ ჩამოყალიბებას მსოფლიო სტანდარტების დონეზე.

**ინტერვიუ მიჰყავდა ხელოვნებათმცოდნეს ლია ბუაძეს.**

**სურათზე: ოთარ ვეფხვაძის პორტრეტი „ქეთევან გაგოშიძე“. მიხეილ როსტომაშვილის ფოტო.**

# პედაგოგის საფლავთან

ბავშვების მხიარული ჟრიამული მოედო გარინდულ მამადავითს. პატარები კრძალვით მიდიოდნენ თითოეულ საფლავთან, შემდეგ გადაშლილ დღიურებსთან მოიყარეს მუხლი. მოწიწებით დაალაგეს ყვავილები იაკობ გოგებაშვილის საფლავთან.

იმ დღეს თბილისის 130-ე საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლეებმა პატივი მიაგეს ქართველ პედაგოგს, კლასიკოსს, გამოჩენილ მოღვაწესა და განმანათლებელს. როგორც ვიცით, 1990 წლის 28 ოქტომბერს სრულდება იაკობ გოგებაშვილის დაბადების 150 წლისთავი. რამდენი ეზიარა გოგებაშვილის დედაენით ტკბილ ქართულს, რამდენი მამულიშვილი გაიზარდა... გაიზრდება კიდევ მისი მადლით.

ამ მადლით მოჰყავს ლელა ძნელაძეს პირველი კლასიდან ეს ბავშვები, ისინი ჯერ მხოლოდ ლოცულობენ საქართველოზე...

იმ დღეს პატარებმა იაკობ გოგებაშვილის საფლავთან წაიკითხეს ლექსები, მოგონებები, ეპიზოდები პედაგოგის ცხოვრებიდან.

შემდეგ მუხლი მოიყარეს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას საფლავთან. პატარებმა უკვე იციან, ვინ არიან, რას ელის სამშობლო მათგან მომავალში, რას ავალებს მშობლიური დედა ენა.

**საკუთარი ინფორმაცია. ირაკლი ჭყონიას ფოტო.**



# „ქართული ფეხბურთი“

ეროვნულ მოძრაობაში თავისი წვლილი შეაქვს ქართულ ფეხბურთს. ფეხბურთი ხომ მრავალი წლის განმავლობაში, ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება იყო. დღეს ჩვენ უკვე დამოუკიდებელ ჩემპიონატს ვატარებთ. ამ დღეებში კი 27 აპრილს გამოვიდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოველკვირეული გაზეთი „ქართული ფეხბურთი“. გაზეთი იხსნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის დალოცვით, ხოლო მოწინავე წერილი — „ქართული ფეხბურთი საქართველოს ჯარისკაცია“, რედაქციის თანამშრომელთა ერთგვარი ანონსია მკითხველისადმი. პირველ გვერდზევე დაბეჭდილია დეპეშა პალერმოდან, რომელსაც ხელს აწერს პალერმოს საერთაშორისო სპორტული ფირმების ფესტივალის გენერალური დირექტორი ვიტო მაჯიო. აქვე იბეჭდება პოეტ ბალათერ არაბულის საინტერესო ლექსი. გაზეთის მეორე გვერდზე დაბეჭდილია საქართველოს 1990 წლის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის დებულება. გაზეთი ბეჭდავს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის ანგარიშს. მეოთხე გვერდი დათმობილი აქვს უცხოეთის ფეხბურთს.

გაზეთის რედაქტორია **ნოდარ კობერიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორიოდე სიტყვა პირველ ეროვნულზე

(დასასრული)



სურათზე: ქეთევან არახამიასთვის „ახალგაზრდა ივერიელის" პრიზის გადაცემა.
იური ტერტერიანის ფოტო.

პირველად იყო საქართველოს ჩემპიონატებზე საოცარი ერთსულოვნება, ერთმანეთით სიამაყე და კორექტულობა.

რამდენადაც ვიცი, პირველად მოხდა ისე, რომ გამარჯვებულს არც ერთი პარტია არ დაუმთავრებია ყაიმით.

სულაც არ არის ეს უმნიშვნელო ფაქტი.

რატომ?

მოგახსენებთ —

თუმცა სჯობია, ჯერ ისა ვთქვათ, რომ ჩვენმა გაზეთმა საქართველოს ქალთა პირველი ეროვნული ჩემპიონატისათვის საგანგებოდ დააწესა პრიზი — შავი ფიგურებით მოპოვებული ყველაზე მეტი გამარჯვებისათვის. შეიძლება ბევრმა განსაკუთრებულად არაფერი მიიჩნიოს ამ ფაქტში, მაგრამ ჩვენ ეს პრიზი გარკვეული მოსაზრებით დავაწესეთ.

ცნობილია, შავებით მოთამაშე მოჭადრაკე, მარტივად რომ ვთქვათ, ყოველთვის იმ საფეხბურთო გუნდის მდგომარეობაშია, რომელიც მეტოქის მოედანზე თამაშობს. სჭირდება კი ახლა ახსნა იმას, რომ პირველი ეროვნული ჩემპიონატი საკავშიროსთან დამოკიდებულებაში ჩვენ სიმბოლურად შავებით მოთამაშე მხარედ წარმოვიდგინეთ.

თქმა არ უნდა, ძნელია შავებით მოგება.

და მაინც...

შავებით ყველაზე მეტი გამარჯვება (7-დან 5 ქულა) მოიპოვა სწორედ ჩემპიონმა, საერთაშორისო დიდოსტატმა ქეთევან არახამიამ და ჩვენი პრიზიც მას ერგო.

თავისთავად ესეც სიმბოლურია.

და ბოლოს ვთქვათ ისიც, რომ საკავშირო საჭადრაკო ჟურნალში „64" (№ 5, 1990 წ.) გამოქვეყნდა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფიდეს) მიერ მომზადებული მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა რეიტინგის სია. სიაში 52 ქალია დასახელებული. მათგან ქართველია — 6, უძლიერესთა ათეულში კი 4 ქართველი მოჭადრაკეა და არცერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკიდან.

ბარემ აქვე ვთქვათ ისიც, რომ ტურნირი მე-12 კატეგორიის იყო.

მოჭადრაკეებმა კარგად იციან, რომ ქალთა შორის ამ სიძლიერის ტურნირის ჩატარება მსოფლიოს უძლიერეს საჭადრაკო სახელმწიფოებსაც კი უჭირთ ვაჟთა შორის, თორემ...

ქალთა შორის დღეს მე არ მეგულება მთელ მსოფლიოში სახელმწიფო, რომელიც შეძლებდა სიძლიერით მე-12 კატეგორიის ეროვნული (ხაზს ვუსვამ — ეროვნული) ჩემპიონატის ჩატარებას. და თუ მაინც, გაითვალისწინეთ ისიც, რომ საქართველოს პირველ ეროვნულ ჩემპიონატში ვერ ითამაშა მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ, თორემ კატეგორია გაცილებით უფრო მაღალი იქნებოდა.

იმედია, საქართველოს მეორე ეროვნული ჩემპიონატი კიდევ უფრო ძლიერი შემადგენლობით ჩატარდება.

**გიგლა გოგეჩია**

# დაჯილდოება

სპონსორების მიერ შექმნილმა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საპრიზო ფონდმა 20 500 მანეთი შეადგინა. ტურნირის მონაწილეებმა უარი თქვეს მის მიღებაზე და ის მთლიანად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ანგარიშზე გადარიცხეს. ჩემპიონატის საზეიმო დახურვაზე მონაწილეებს გადაეცათ სპეციალური პრიზები, რომლებიც საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დააწესეს.

**ქეთევან არახამიამ** — I ადგილისთვის ფერადი ტელევიზორი და 500 მანეთი („დინამოს" რესპუბლიკის საბჭო) და შავებისთვის საუკეთესო შედეგისათვის (7-დან 5 ქულა) მხატვრული ტილო (გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" რედაქცია) მიიღო.

**ნანა იოსელიანმა** II ადგილისათვის — 1000 მანეთი (საქსახტელერადიოკომიტეტი).

**ნონა გაფრინდაშვილმა** დიდოსტატთა შორის საუკეთესო შედეგებისთვის (4-დან 3,5 ქულა) — 1000 მანეთი (საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი) და არახამიასთან მოგებული პარტიისთვის 500 მანეთი (პროფკავშირების სპორტსაზოგადოება).

**ქეთევან კახიანმა** ორი დიდოსტატის გასწრებისათვის — 2000 მანეთი (საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი).

**ნინო გურიელმა** ყველაზე სწრაფი და ლოგიკური მოგებისათვის — 500 მანეთი (შოთა რუსთაველის საზოგადოება).

**ნანა ალექსანდრიამ** ეროვნული ჩემპიონატის ორგანიზაციის ინიციატივისთვის — კინოაპარატი (გაზეთ „თბილისის" რედაქცია) და თავგამოდებული ბრძოლისთვის 500 მანეთი (საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაცია).

**სოფიკო ნიკოლაძემ** და **ინგა ხურცილავამ** დიდოსტატებთან შეხვედრების საუკეთესო შედეგისთვის — (პირველმა მოუგო გაფრინდაშვილსა და ალექსანდრიას, — მეორემ — იოსელიანსა და ალექსანდრიას) 250-250 მანეთი (პროფკავშირების სპორტსაზოგადოება).

ფულადი პრიზებით სხვა მონაწილენიც დაჯილდოვდნენ.

# ორი შეხვედრა „შევარდენის" სტადიონზე

**მეექვსე** ტურის შეხვედრებიდან გარკვეულ ინტერესს იწვევდა შეხვედრა თბილისში, სადაც ადგილობრივი „შევარდენი— 1906" ლიდერთა ჯგუფის ერთ-ერთ წარმომადგენელს „ბათუმს" ხვდებოდა. „შევარდენი— 1906"-ის არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობა ამ მატჩის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა და გუნდის ხელმძღვანელობა თუ რაიმე კონკრეტულ ზომებს არ მიიღებს, შედეგი შეიძლება ძალზედ სავალალო აღმოჩნდეს...

ახლა კი, უშუალოდ მატჩის შესახებ, რომლის დაწყებისთანავე „ბათუმის" გამოცდილმა გუნდმა პირველივე შეტევა გოლით დაამთავრა. შეტევის მარცხენა ფრთაზე „შევარდენი-1906"-ის მცველების უყურადღებობით კარგად ისარგებლა გრიგოლ ზედანიამ და საჯარიმოს გასწვრივ ჩააწოდა ბურთი, სადაც ახალგაზრდა ივანე მახარაძეს არ გასჭირვებია შეუჩერებლივ გადაეგზავნა ბურთი გუბაზ დოლიძის კარში.

თავდასხმაში ორი ტაიმის განმავლობაში აქტიურობდნენ გამოცდილი გრიგოლ ზედანია და 18 წლის თემურ ტულუში: ეს უკანასკნელი საუცხოო შთაბეჭდილებას სტოვებდა და ალბათ, მისი სახით ქართულ ფეხბურთს კიდევ ერთი ვარსკვლავი ეზრდება. ჩვენი აზრით, მთავარი, რაშიც ბათუმელებმა „შევარდენი-1906"-ის ფეხბურთელები დაჯაბნეს, ეს იყო მათი უპირატესობა მოედნის ცენტრში. მათი ცენტრალური ნახევარმცველები მალხაზ მახარაძე და თამაზ კაკლიაშვილი ბათუმელთა ყველა შეტევის სულისჩამდგმელები იყვნენ და ამას გარდა, ორივე მათგანმა ძალზედ დიდი შრომატევადი სამუშაო შეასრულა.

ბათუმელებმა კიდევ ორი ბურთის გატანა მოახერხეს: ჯერ გრიგოლ ზედანიამ ისარგებლა მეტოქის საჯარიმოში ნუგზარ კაკილაშვილის შეცდომით და შემდეგ კი, თამაზ კაკლიაშვილმა დაახლოებით 18 მეტრიდან მეკარისაგან მარცხენა დაბალ კუთხეში მოათავსა ბურთი. 0:3 — ამას დიდი ანგარიშით წაგება ჰქვია და „შევარდენი —1906"-ის ფეხბურთელებს ცდა არ დაუკლიათ „პრესტიჟის" გოლის გატანისთვის მაინც. ერთხელ, ვაჟა ქვანიას მიერ უძლიერესად დარტყმული ბურთი „ცხრიანიდან" მოხსნა ასლან ბალაძემ, ხოლო მეორე ტაიმში მათმა ყველაზე სახიფათო თავდამსხმელმა გივი ქობელაშვილმა საჰაერო დუელი მოუგო მცველებს და თითქოსდა გოლი გარდაუვალი იყო, მაგრამ ბათუმელთა გუნდის კაპიტანმა ტარიელ დურდიაძემ აკრობატულ ნახტომში კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „შევარდენი— 1906"-ის ფეხბურთელები ცოტა არ იყოს „მწყრალად" არიან კოლექტიურ თამაშთან და თუ ეს ასე გაგრძელდა, შედეგი სასიკეთო ნამდვილად არ იქნება.

**„შევარდენი-1906":** დოლიძე, ელიაშვილი, ჩხეიძე, კოპალეიშვილი, ძნელაძე, ჯოხაძე, შალამბერიძე, კაკილაშვილი, ქვანია, ქობელაშვილი, მინაშვილი;

**„ბათუმი":** ბალაძე, გოგიტიძე, მჭედლიშვილი, დურდიაძე, კაკლიაშვილი (შეყილაძე), ზედანია, მ. მახარაძე, ი. მახარაძე, შანიძე, ტულუში, მჭისურაძე (კედელაძე).

ამავე სტადიონზე მეორე დღეს გაიმართა მეექვსე ტურის კიდევ ერთი შეხვედრა ცხინვალის „ლიახვსა" და ხაშურის „ივერიას" შორის. სანამ ამ მატჩის ირგვლივ ვისაუბრებდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ცხინვალის გუნდს საკუთარ სტადიონზე შეხვედრა ჯერ არ ჩაუტარებია... ჭორის დონეზე ხმაც კი დადიოდა, თითქოსდა ცხინვალში სტადიონი გადახნულიაო, რომ „ლიახვს" ეროვნულ ჩემპიონატში თავის მოედანზე გუნდები არ მიეღო. როგორც ფეხბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, უახლოეს ხანში ცხინვალის სტადიონი (რომლის ბალახის საფარიც ჯერ კიდევ მზად არ არის) უმასპინძლებს მოწინააღმდეგე გუნდებს. ხოლო გუნდის ხელმძღვანელობამ კონკრეტული რიცხვიც გვაცნობა — 6 მაისი (ამ დღეს „ლიახვი" გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს რუსთავის „გორდას" უნდა შეხვდეს).

რაც შეეხება შეხვედრას, აქ ბევრი ჩამოსათვლელი, ალბათ, არც არის. პირველი ტაიმი ხაშურელთა უპირატესობით წარიმართა, რაც მათი თავდამსხმელების ბესიკ თევზაძის და ბადრი რობაქიძის ორი გატანილი გოლით გამოიხატა კიდევაც. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი უსიამოვნო ინციდენტი, რომელიც 22-ე წუთზე მოხდა: შეხვედრის არბიტრმა თ. ლორთქიფანიძემ ცხინვალელთა კარში ერთობ საეჭვო პენალტი დანიშნა, მაგრამ „ლიახვის" ფეხბურთელთა აგრესიული მოთხოვნის გამო მაშინვე გადათქვა...

მეორე ტაიმი კი საკმაოდ ნერვიულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, რადგან მსაჯს მართვის სადავეები ხელიდან გაშვებული ჰქონდა. უხეშობაში კი ხაშურელები საკმაოდ „აქტიურობდნენ", რასაც ერთ-ერთ ეპიზოდში მათი ცენტრალური მცველის კობა ამბიძის გაფრთხილებაც მოჰყვა. მთლიანობაში კი „ლიახვი" საკმაოდ ენერგიულად უტევდა, მაგრამ მხოლოდ მატჩის მიწურულს მოახერხეს ერთი ბურთის გატანა. ეს გოლი მათი ყველაზე სახიფათო თავდამსხმელის გია ხუბეჯიშვილის ანგარიშზეა. თუმცა, მანამდე ხაშურელთა კარში დანიშნული სავსებით სამართლიანი თერთმეტმეტრიანი დარტყმა მელსი სანაკოევმა ვერ გამოიყენა (ბურთი ზედა ძელს მოხვდა). სანამ ამ შეხვედრაში მონაწილე გუნდების შემადგენლობებს და მეექვსე ტურის სხვა შეხვედრებს გაგაცნობდეთ, ერთ ფაქტზე გვინდა შევაჩეროთ ყურადღება. საქმე ის არის, რომ „შევარდენის" სტადიონზე თამაშის დროს არ იყვნენ ბურთის მიმწოდებელი პატარა ბიჭები და ჩვენი აზრით, ამ საკითხის მოგვარება გადაუჭრელი ნამდვილად არ უნდა იყოს,...

**„ლიახვი":** ხაჩიროვი (თ. სანაკოევი), კახნიაშვილი, გ. ხუბეჯიშვილი, მარგიევი (მ. სანაკოევი), ვ. ჯიოევი, ნასუაშვილი (მიხაილოვი), დოგუზოვი, გასიევი, რომელაშვილი, გ. ხუბეჯიშვილი, ა. ჯიოევი.

**„ივერია":** მურადაშვილი, ჯანგურიძე, ცხოვრებაშვილი, ამბიძე, ლაცაბიძე, მაღრაძე, აბაზაძე (ტატვინიძე), პოზოიანი (ქიმერიძე), ბ. თევზაძე, მღვდელაძე, რობაქიძე (რ. ნოზაძე).

**გია ტუხაშვილი**

## მსოფლიო პირველობა ფეხბურთში

# რუმინეთი

**წერილი მეხუთე**

ჩაუშესკუს სისხლიანი რეჟიმის დამხობამ, გასაგებია, რუმინეთის ფეხბურთელთა ნაკრებზეც იმოქმედა. ერთნი (შვეიცარიელები) საწვრთნელ შეკრებაზე იწვევენ და მთელი ხარჯების დაფარვას კისრულობენ, მეორენი (იტალიელები) თავიანთ სასტუმროებსა და ბაზებს მთელი მსოფლიო ჩემპიონატის დროს უფასოდ თავაზობენ. ის ფეხბურთელები (მიოდრაგ ბელოდედიჩი), რომლებიც ტერორისტულ წყობილებას გაექცნენ, ახლა აცხადებენ, რომ ნაკრებს, თუკი საჭიროა, სიამოვნებით დაუბრუნდებიან.

ასე ხვდება რუმინეთის ნაკრები თავის მეხუთე მსოფლიო ჩემპიონატს, არც მეტი, არც ნაკლები, მთელი ოცწლიანი პაუზის შემდეგ. ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ჯერ კიდევ 1908 წელს დაარსდა, ფიფას წევრია 1930 წლიდან, უეფას წევრი — 1955 წლიდან. ქვეყნის 5453 კლუბში 179987 ფეხბურთელია გაერთიანებული.

რუმინელები მსოფლიო პირველობის პირველ ევროპულ შესარჩევ ჯგუფში მოხვდნენ (მათ გარდა — დანია, ბულგარეთი, საბერძნეთი). ფინალში მხოლოდ პირველ ადგილზე გამოსული გადიოდა, ამასთან უპირატესობას დანიელებს ანიჭებდნენ და ეს რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო. რუმინელებმა სტუმრად ბულგარელებთან მოგებით (3:1) დაიწყეს, ხოლო შემდეგ, ბუქარესტში ბერძნებსაც სძლიეს (3:0). ამავე მეტოქეებთან დანიელები ორ ფრეს დასჯერდნენ. შემდეგში ბრძოლა მეტად მძაფრად მიმდინარეობდა. და აი, დარჩა მხოლოდ ორი მატჩი დანიელებსა და რუმინელებს შორის. ამ მომენტისათვის რუმინელებს 7 ქულა ჰქონდათ და დანიელებს ერთი ქულით უსწრებდნენ. რა მოიტანა უშუალო „დუელმა?" ჯერ იყო და კოპენჰაგენში დანიელებმა დიდი ანგარიშით (3:0) გაიმარჯვეს და წინ გავიდნენ, მაგრამ მატჩ-რევანში ბუქარესტში უკვე მასპინძლების გამარჯვებით (3:1) დამთავრდა.

ITALIA'90

როგორია რუმინელთა შემადგენლობა მსოფლიო ჩემპიონატის წინ? კარს იცავს სილვიუ ლუნგი (ბუქარესტის „სტიაუა"), რომელმაც 6 შესარჩევ მატჩში ხუთჯერ ითამაშა და სავსებით საიმედოდ მოქმედებდა. ლუნგი 33 წლისაა, დუბლიორი ჰყავს 22 წლის ბელა სტელიას სახით. რუმინელებს მაღალი კლასის მცველები ჰყავთ: სტეფან იოვანი („სტიაუა"), მირჩა რედნიკი (ბუქარესტის „დინამო"), ადრიან ბუმბესკუ („სტიაუა"), მიჰაელ კლაინი („დინამო"), დან პეტრესკუ, ნიკოლაე უნგურიანუ (ორივე „სტიაუა"). უკვე გადაწყვეტილად ითვლება მსოფლიოს კლასის ცენტრალური მცველის მიოდრაგ ბელოდედიჩის საკითხი. იგი — ეროვნებით სერბი, 1988 წელს გაიქცა იუგოსლავიაში და ხელი მოაწერა კონტრაქტს ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან". ახლა, პოლიტიკური ვითარების შეცვლის შემდეგ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ემერ ენეი მოელაპარაკა ბელოდედიჩს, რომელიც უბრუნდება ნაკრებს (სადაც ადრე ორი შესარჩევი მატჩი ითამაშა) და იტალიაში გაემგზავრება. ბელოდედიჩი დაცვის შემადუღაბებელი მოთამაშეა და მისმა დაბრუნებამ ნაკრებზე დადებითად უნდა იმოქმედოს.

შუა ხაზი და თავდასხმა თანაბრად ძლიერად ითვლება. საკმარისია ითქვას, რომ შემტევი ნახევარმცველი დორინ მატეუტი („დინამო") შარშანდელ სეზონში „ფრანს ფუტბოლის" პოპულარულ პრიზ „ოქროს ბუცის" მფლობელი გახდა. და მაინც ნახევარდაცვის უძლიერეს ფეხბურთელად 25 წლის გეორგე ჰაჯი („სტიაუა") ითვლება. რუმინელი ექსპერტების აზრით, ჰაჯის (ეროვნებით ბერძენს) შეუძლია იტალიაში ნამდვილი ფურორი მოახდინოს, თუმცა ჩემპიონატის პირველ მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს (რახან დანიელებთან თამაშიდან გააძევეს). ჰაჯის ბევრი მიწვევა აქვს უცხოეთის კლუბებიდან და გადაწყდა კიდეც, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დასტოვებს რუმინეთს. შუა ხაზის სხვა ფეხბურთელთაგან აღნიშნავენ გეორგე პოპესკუს (კრაიოვას „უნივერსიტატეა"), იოან საბეუს და იონ ანდონეს (ორივე — „დინამოდან"). წინა ხაზზე კი, უპირველეს ყოვლისა ორ შედეგიან ოსტატს — მარიუს ლეკატუშსა („სტიაუა") და ნაკრების ერთადერთ ფეხბურთელს, რომელიც რუმინეთის სპორტის მესვეურთა ოფიციალური ნებართვით უცხოეთში თამაშობს.

**გივი გამრეკელი**

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 5 მაისს.

რედაქტორი
**მერაბ ბალარჯიშვილი**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 Наш индекс 66400.
უე 08387